



European Monitoring Centre
for Drugs and Drug Addiction

KA

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ ქვეყნების ნარკობაზრის მიმოხილვა

რეგიონული ანგარიში

2022



European Monitoring Centre
for Drugs and Drug Addiction

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ ქვეყნების ნარკობაზრის მიმოხილვა

რეგიონული ანგარიში

2022

იურიდიული ცნობა

ევროპის ნარკოტიკებისა და წამალდამოკიდებულების მონიტორინგის ცენტრის (EMCDDA) წინამდებარე პუბლიკაცია დაცულია საავტორო უფლებებით. ანგარიში დაფინანსდა EU4Monitoring Drugs პროექტის მეშვეობით, რომელსაც აფინანსებს ევროკავშირი. ანგარიშში გამოხატული შეხედულებები არანაირ შემთხვევაში არ უნდა იქნეს განხილული როგორც ევროკავშირის პოზიცია. ანგარიში ხელმისაწვდომია სომხურ, აზერბაიჯანულ, ინგლისურ, ქართულ, რუმინულ და უკრაინულ ენებზე.

ლუქსემბურგი: ევროკავშირის პუბლიკაციების სამსახური, 2022 წ

© ევროპის ნარკოტიკებისა და წამალდამოკიდებულების მონიტორინგის ცენტრი, 2022 წ

ციტირება ნებადართულია წყაროს მითითებით.

რეკომენდებული წყაროს მოხსენიება: ევროპის ნარკოტიკებისა და წამალდამოკიდებულების მონიტორინგის ცენტრი (2022), ევროპული სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ ქვეყნების ნარკობაზრის მიმოხილვა: რეგიონული ანგარიში, ევროკავშირის პუბლიკაციების ოფისი, ლუქსემბურგი.

Print	ISBN 978-92-9497-822-6	doi:10.2810/15240	TD-03-22-107-KA-C
PDF	ISBN 978-92-9497-832-5	doi:10.2810/492117	TD-03-22-107-KA-N

EU4MD



Funded by the
European Union



European Monitoring Centre
for Drugs and Drug Addiction

მისამართი: Praça Europa 1, Cais do Sodré, 1249-289 Lisbon, Portugal

ტელ: +351 211210200

info@emcdda.europa.eu | www.emcdda.europa.eu

twitter.com/emcdda | facebook.com/emcdda

| სარჩევი

- 4 | მაღლიერების გამონატვა
- 5 | შესავალი
- 8 | ძირითადი მიგნებები
- 11 | ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ნარკობაზრის ძირითადი მამოძრავებლები და ფასილიტატორები
- 15 | კანაფი
- 17 | კოკაინი
- 19 | ჰეროინი და სხვა ოპიოიდები
- 25 | ამფეტამინი და MDMA
- 28 | მეტამფეტამინი
- 32 | ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები
- 35 | ხეღვა
- 38 | გამოყენებული შემოკლებები
- 39 | ტერმინების განმარტება
- 40 | დანართი: მეთოდოლოგიური შენიშვნები ENP-ის ადმოსავლეთ რეგიონში ნარკოტიკების ამოდების შესახებ
- 43 | გამოყენებული ლიტერატურა

მადლიერების გამოხატვა

ანგარიში ეფუძნება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის EU4Monitoring Drugs ფარგლებში ტრიმბოს ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ კვლევას (EMCDDA-ს ხელშეკრულების კოდი: CT.21.EU4MD.0050.1.0).

ტრიმბოს მკვლევართა ჯგუფი: დან ვან დერ ხაუვე, ლიზა სტრადა და ჯონ-პიტერ კულსი, მრჩეველების აისელ სულთანისა და ჰაიკ კასპარიანის მხარდაჭერით.

EMCDDA-ს სარედაქციო ჯგუფი: ენ ბერგენსტრომი, ენდრიუ კანინგემი, პოლ გრიფიტსი, თეოდორა გროშოვა, ილზე ჯეკაბსონი, ჯეინ მაუნტენი, თომას ნეფო, ანდრე ნორი, რუმენ სედეფოვი, იონუტ სერბანიკა და ალექსანდერ სოდერჰოლმი

EMCDDA-ს კონტრიბუტორები: ტიმ სურმონტი, სესილ მარტელი და რენატ ლე ნევი.

ექსპერტები, რომლებმაც წარმოადგინეს მონაცემები და ინფორმაცია ანგარიშისთვის:

- საქართველო – ირმა კირთაძე, ნიკა კობახიძე, ირაკლი ნაცვლიშვილი და დავით ოთიაშვილი
- უკრაინა – ალექსანდრ ბუკრეიევი, ვიაჩესლავ კუშაკოვი, იური მალახოვი, მარია მალახოვა, ოლენა ტალალაევა და ლესია ტოკონოგი

EMCDDA და EU4MD პროექტის გუნდი მადლობას უხდის პროექტის EU4Monitoring Drugs პარტნიორი ქვეყნების ეროვნულ საკონტაქტო პირებს და სხვადასხვა ექსპერტს, რომლებიც მონაწილეობდნენ EU4MD პროექტის აქტივობებში 2019-2022 წლებში. ამ აქტივობებმა პირდაპირ და ირიბად შეუწყო ხელი იმ ცოდნის მიღებას, რომელმაც საშუალება მოგვცა წარმოგვედგინა წინამდებარე ანგარიში.

შესავალი

ანგარიშის შესახებ


წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) აღმოსავლეთ ქვეყნების, კერძოდ, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელარუსის⁽¹⁾, საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის ნარკობაზრის ანალიზს. ის მოიცავს ნარკოტიკების წარმოების, ნარკოტრაფიკის, რეალიზაციის, მოხმარებისა და ზიანის შესახებ არსებული ინფორმაციის უმაღლესი დონის მიმოხილვას და, ამასთან, იკვლევს, თუ რა არის ცნობილი ENP-ის აღმოსავლეთ რეგიონის ნარკობაზრის მამოძრავებლებისა და ფასილიტატორების შესახებ. იგი ხაზს უსვამს ნარკოტიკებთან დაკავშირებულ საფრთხეებს და მათ პოტენციურ გავლენას უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე. გეოგრაფიული სიახლოვისა და სოციალურ-ეკონომიკური კავშირების გამო, ამ რეგიონში განვითარებულ მოვლენებს პოტენციურად მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ევროკავშირისთვის. წარმოდგენილი ანალიზი ყურადღებას ამახვილებს ნარკოვითარებაზე 2018-2021 წლებში და, უფრო კონკრეტულად,

მნიშვნელოვან მოვლენებზე COVID-19-ის პანდემიამდე პერიოდიდან 2021 წლის ბოლომდე. ამასთან, ანგარიშში განიხილება 2022 წლის თებერვალში რუსეთის შეჭრა უკრაინაში და მისი პოტენციურად მნიშვნელოვანი გავლენა ნარკოვითარებაზე, თუმცა ამ კუთხით ანალიზისთვის საიმედო ინფორმაცია არასრულია.

ENP-ის აღმოსავლეთ რეგიონი მოიცავს ქვეყნების ორ გეოგრაფიულად განსხვავებულ ჯგუფს, რომელთაც აცალკევებს შავი ზღვა და რუსეთი (იხილეთ სურათი 1). მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნების ნარკობაზრას შორის არაერთი მსგავსებაა, მათი გეოგრაფიული მდებარეობა დიდ გავლენას ახდენს შიდა ნარკოვითარებაზე, მათ შორის, წარმოებაზე, ნარკოტრაფიკზე, გასაღებასა და მოხმარებაზე. ENP-ის აღმოსავლეთ რეგიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს ბელარუსი, მოლდოვა და უკრაინა. ეს ქვეყნები იზიარებენ საზღვრებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, რუსეთთან და შავ ზღვასთან. რეგიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, კერძოდ, სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო. სამხრეთ კავკასია ესაზღვრება ირანს, რუსეთს, თურქეთსა და შავ ზღვას.

(1) რუსეთის უკრაინაში შეჭრის გამო და ევროკავშირის პოზიციის შესაბამისად, EMCDDA-ს და რუსეთისა და ბელარუსის წარმომადგენლებს შორის მიმდინარე და დაგეგმილი ორმხრივი ურთიერთობა შეჩერებულია.

სურათი 1
ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) აღმოსავლეთ რეგიონი



რეგიონის ნარკობაზარი კვლავ განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს ნარკოტიკული საშუალებების არალეგალურად წარმოების, ნარკოტრაფიკის, რეალიზაციისა და მოხმარების კუთხით. ბოლო დროის მნიშვნელოვანი მოვლენაა ონლაინ ბაზრის ზრდა, რაც დაკავშირებულია ნარკოტიკების უფრო ფართო სპექტრის, განსაკუთრებით, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების (აფნ) ხელმისაწვდომობასთან. შავი ზღვის გავლით ჰეროინისა და კოკაინის ნარკოტრაფიკის ახალი მარშრუტების გაჩენა, საერთაშორისო კრიმინალური ქსელების ჩართულობით, ბოლო დროის ერთ-ერთი მოვლენაა, რომელიც ხაზს უსვამს ამ სფეროში მუდმივი ყურადღების აუცილებლობას. სიახლეები იკვეთება ნარკოტიკების წარმოებაშიც. კერძოდ, აღმოჩენილ იქნა არაერთი სინთეზური ნარკოტიკების წარმოების ობიექტი რეგიონის რამდენიმე ქვეყანაში, რასაც მოჰყვა მათი დემონტაჟი. გარდა ამისა, არსებობს ვარაუდი, რომ 2022 წლის თებერვალში უკრაინაში რუსეთის შეჭრამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ნარკოტიკების ნაკადზე და გამოიწვიოს ნარკოტიკებთან დაკავშირებული ზიანის გაზრდა როგორც უკრაინაში, ისე მეზობელ ქვეყნებში.

ანგარიშში მოცემული მიგნებები ეფუძნება ნახევრად სტრუქტურირებულ ინტერვიუსს, რომლებიც ტარდებოდა 2021 წლის სექტემბრიდან დეკემბრამდე პერიოდში 40-ზე მეტ ჩართულ მხარესთან ENP-ის აღმოსავლეთ რეგიონის ექვს ქვეყანაში. მხარეებს შორის იყვნენ მთავრობის წარმომადგენლები, სამართალდამცავი ორგანოები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მკვლევრები და საერთაშორისო ორგანიზაციები. ამ ინტერვიუებიდან მოპოვებული ინფორმაციის დასაბუთებისთვის გამოყენებულ იქნა სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურა, მონაცემები და ანგარიშები. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ, საერთო ჯამში, რეგიონში ნარკოვიტარების შესახებ რეგულარულად შეგროვებული და დეტალური ინფორმაციის ნაკლებობაა. ეს ხაზს უსვამს ნარკოტიკების რუტინული მონიტორინგის მონაცემთა სისტემების გაძლიერების მნიშვნელობას სანდო და შესადაარებელი ინფორმაციის შეგროვებისა და ანგარიშებისთვის.

მეთოდოლოგია

ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია ძირითადად მოიცავს 2018-2021 წლების პერიოდს, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. ინფორმაციის პირველადი წყაროა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ რეგიონის მთავარ ინფორმანტებთან ინტერვიუების შედეგად მიღებული თვისებრივი მონაცემები. ინტერვიუებში შესწავლილი ძირითადი თემები მოიცავდა ნარკოტიკების ხელმისაწვდომობას, მოხმარებას,

ტენდენციებს, ზიანს, წარმოებას, ნარკოტრაფიკს, გასაღებასა და ღირებულებას. ინტერვიუებიდან მიღებული მონაცემების განსამტკიცებლად გამოკვლეულ იქნა კიდევ ორი წყაროთა კრებული. პირველ რიგში, კვლევის საგანი გახდა გამოქვეყნებული ანგარიშები და სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც ფოკუსირებული იყო ნარკოტიკების ამოღებაზე, დემონტაჟს დაქვემდებარებულ ლაბორატორიებზე, ნარკოტიკების ფასებსა და ნარკოტიკების მოხმარების შესახებ ინფორმაციაზე. დამატებითი ინფორმაცია ასევე მოიცავდა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ინტერვიუებში იდენტიფიცირებულ ნარკოტრაფიკის მარშრუტებსა და ორგანიზებულ კრიმინალურ ქსელებს. მეორე ეტაპი მოიცავდა რაოდენობრივ და ხარისხობრივ მონაცემთა კრებულების ანალიზს, რომლებიც შეგროვდა რეგიონის რამდენიმე ქვეყნის მიერ და კოორდინირებული ან მხარდაჭერილი იყო ევროპის ნარკოტიკებისა და წამალდამოკიდებულების მონიტორინგის ცენტრის (EMCDDA-ს) მიერ (იხილეთ ნაწილი - მონაცემთა დამატებითი წყაროები).

მიუხედავად ინტერვიუებიდან შეგროვებული ინფორმაციის დამატებითი მონაცემთა წყაროებით დასაბუთების არაერთი მცდელობისა, მნიშვნელოვანი შეზღუდვა იყო დეტალური და სანდო ინფორმაციის ნაკლებობა რეგიონის ნარკოვიტარების შესახებ. აღნიშნული დეფიციტის გათვალისწინებით, ეს ანგარიში წარმოადგენს ნაწილობრივ მიმოხილვას ENP-ის აღმოსავლეთ რეგიონის ნარკობაზარზე. ამგვარად, ხაზი უნდა გაესვას ნარკოტიკების რუტინული მონიტორინგის სისტემების გაძლიერების მნიშვნელობას ნარკოვიტარების შესახებ სანდო და შესადაარებელი ინფორმაციის შეგროვებისა და გავრცელებისთვის. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აქ წარმოდგენილი მიგნებები უნდა განიხილებოდეს, როგორც წინასწარი და მათი ინტერპრეტაციისას აუცილებელია სიფრთხილე ანალიზისთვის ხელმისაწვდომი მონაცემების შეზღუდულობის გამო.

ხარისხობრივი ინტერვიუები

ინტერვიუები ჩატარდა ძირითად ინფორმანტებთან, რომლებიც წარმოადგენდნენ სხვადასხვა პროფესიასა და ორგანიზაციას: არასამთავრობო ორგანიზაციები (16), სამთავრობო უწყებები (11), ჯანდაცვის პროვაიდერები (2), მკვლევრები (1), ნარკოტიკების მოხმარებელი ადამიანები (1) და საერთაშორისო ორგანიზაციები (1). ინტერვიუები ჩატარდა ექვსივე ქვეყნის მთავარ ინფორმანტებთან: სომხეთი (4), აზერბაიჯანი (5), ბელარუსი (4), საქართველო (3), მოლდოვა (7), უკრაინა (6); გამოკითხვაში ასევე მიიღეს მონაწილეობა რეგიონული ვითარების ექსპერტებმა (3). ძირითადი ინფორმანტების იდენტიფიცირება მოხდა მკვლევართა და EMCDDA-ს ქსელების მეშვეობით

და გამოკითხულთა მიმართვებზე დაფუძნებით. გამოყენებული იქნა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს გზამკვლევი ძირითადი თემებით, რომელიც ადაპტირებული იყო თითოეული გამოკითხულის პროფესიულ სფეროსთან. ყველა ინტერვიუ ტარდებოდა დისტანციურად ონლაინ ვიდეო კონფერენციის აპლიკაციების გამოყენებით და გრძელდებოდა 45-75 წუთამდე. ინტერვიუებს ასრულებდა ორი მკვლევარი.

მონაცემთა პირველად წყაროდ თვისებრივი ინტერვიუების გამოყენება ერთდროულად წარმოადგენს ამ ანგარიშის ძლიერ მხარეს და შეზღუდვასაც. ინტერვიუების მეშვეობით ვიძენთ ღირებულ ინფორმაციას ნარკოვითარების კუთხით უკანასკნელი მოვლენების შესახებ რესპონდენტების ადქმის საფუძველზე, რაც მოიცავს იმ შეხედულებებსაც, რომლებიც შესაძლოა არ ფიქსირდებოდეს არსებულ კვლევებში. ისეთ რეგიონში, სადაც მონაცემთა სხვა წყაროები შეზღუდულია, ძირითად ინფორმანტებთან ინტერვიუების ჩატარება თამამობს განსაკუთრებულ როლს, რადგან ამგვარ მიდგომას შეუძლია ნათელი მოჭვინოს ისეთ პროცესებსა და მოვლენებს, რომლებზეც სხვაგვარად დაკვირვება რთულია. თუმცა, მნიშვნელოვანი შეზღუდვაა ინტერვიუში წარმოდგენილი სუბიექტური ხედვა ნარკოვითარების შესახებ, რადგან ის ეფუძნება ძირითადი ინფორმანტების პირად გამოცდილებებსა და ექსპერტულ ცოდნას. სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული გამოკითხულთა დიდი საკვლევი ჯგუფის ყოლა ხელს უწყობს ამ შეზღუდვის მართვას, თუმცა შესაძლებელს არ ხდის მის გადალახვას. სხვა წყაროები გამოყენებულ იქნა დამატებით მასალად ან ინტერვიუებით შეგროვებული ინფორმაციის შეძლებისდაგვარად დასაბუთებისთვის.

მონაცემთა დამატებითი წყაროები

ხარისხობრივ ინტერვიუებთან დამატებით, ანგარიში შეძლებისდაგვარად ეყრდნობა რაოდენობრივ მონაცემებს EMCDDA-ს მიერ მხარდაჭერილი კვლევებიდან და გამოკითხვებიდან, რომლებიც განხორციელდა რეგიონის ქვეყნებში EU4Monitoring Drugs-თან ტექნიკური თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში. მათ შორისაა ევროპული ვებ-გამოკითხვა ნარკოტიკებზე (EWSD) ⁽²⁾, შპრიცების შეგროვებისა და ანალიზის ევროპული საწარმო (ESCAPE) ⁽³⁾ და ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკების მოხმარების შემსწავლელი ევროპული სასკოლო კვლევის პროექტი (ESPAD) ⁽⁴⁾. თითოეულ პროექტს გააჩნია ძლიერი მხარეები და შეზღუდვები,

რომელთა განხილვა ცდება წინამდებარე ანგარიშის ფარგლებს, მაგრამ მათი შესწავლა შესაძლებელია EMCDDA-ს ამ თემების შესაბამის გვერდებზე ან აღნიშნული პროექტების ვებგვერდებზე.

საჭიროების შემთხვევაში, EMCDDA-ს მონიტორინგის ძირითადი აქტივობები გამოყენებულ იქნა ტრანსსასაზღვრო ნარკოტრაფიკისა და მიწოდების შესახებ ინფორმაციის განსამტკიცებლად. მონიტორინგის ძირითადი მონაცემები მიღებულია სტანდარტიზებული საანგარიშო ინსტრუმენტების გამოყენებით ყოველწლიური მონაცემების შეგროვების აქტივობებიდან, რომლებსაც ატარებს EMCDDA მისი ეროვნული საკონტაქტო პირების ქსელის მეშვეობით ევროკავშირის 27 წევრ ქვეყანაში, ნორვეგიასა და თურქეთში.

ანგარიშის მონახაზი

ანგარიში იწყება ძირითადი მიგნებების მიმოხილვით, სადაც ყურადღება გამახვილებულია წარმოებაზე, ნარკოტრაფიკზე, გავრცელებაზე, ორგანიზებულ კრიმინალურ ქსელებზე, მოხმარებაზე, წვდომაზე, ჯანმრთელობასა და ზიანზე. ასევე წარმოდგენილია 2022 წლის თებერვალში რუსეთის უკრაინაში შეჭრის შედეგად არსებული კრიზისის წინასწარი ანალიზი. ანგარიში მოიცავს რეგიონის ნარკოზაზრის ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორებისა და ფასილიტატორების განხილვას, სადაც ყურადღება გამახვილებულია ონლაინ ბაზრის ზრდაზე, იმაზე, თუ რა არის ცნობილი კრიმინალური ქსელების საქმიანობის შესახებ და COVID-19 პანდემიის გავლენაზე.

წარმოდგენილია რეგიონში არსებული ძირითადი ნარკოტიკების თითოეული სახეობის ინდივიდუალური მიმოხილვა (კანაფი, პეროინი და სინთეზური ოპიოიდები, კოკაინი, ამფეტამინი, MDMA, მეტამფეტამინი და აფნ). ნარკოტიკის თითოეული სახეობის მხრივ არსებულ ვითარებაზე ცნობილი ინფორმაცია განიხილება წარმოების, ნარკოტრაფიკის, გავრცელების, ხელმისაწვდომობის, მოხმარებისა და ზიანის კუთხით. ანგარიშის დასკვნითი ნაწილი მოიცავს რეგიონული ვითარების განხილვას და, ამასთან, ხაზს უსვამს უფრო ფართო სპექტრის საკითხებს, როგორებიცაა ცოდნის დეფიციტი, გლობალური მეგატენდენციების გავლენა და ნარკოვითარებაზე რეაგირების ხელმისაწვდომობა.

⁽²⁾ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: https://www.emcdda.europa.eu/activities/european-web-survey-on-drugs_en

⁽³⁾ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: https://www.emcdda.europa.eu/topics/escape_en.

⁽⁴⁾ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: <http://www.espad.org/>.

ძირითადი მიგნებები

▶ ბოლო დროს რეგიონში მიმდინარე მოვლენებს შორის იკვეთება ნარკოტიკების ონლაინ ბაზრის გაფართოება. როგორც ჩანს, ბაზარი ამჟამად უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნარკოტიკების გასაღებისა და შექმნის მხრივ სომხეთში, ბელარუსში, საქართველოში, მოლდოვასა და ბოლოდროინდელ პერიოდამდე უკრაინაში. აღნიშნულ მოვლენას უკავშირდება ზოგიერთი აფნ-ს მზარდი ხელმისაწვდომობა, როგორებიცაა 4 - მეთილმეტაკათინონი (4-MMC) და α-პიროლიდინოპენტიფენონი (ალფა-პეპ), თუმცა შეუძლებელია ამ მიგნების ემპირიულად დასაბუთება.

▶ COVID-19-ის პანდემიამ, როგორც ჩანს, დროებით მაინც განაპირობა იმ ნარკოტიკების შემცირებული ხელმისაწვდომობა და მოხმარება, რომლებიც ძირითადად კონტრაბანდის გზით შემოდის რეგიონში, მაგალითად, ჰეროინი, MDMA, ამფეტამინი და კოკაინი. ეს, სავარაუდოდ, უკავშირდება ნარკოტრაფიკის მარშრუტების COVID-19-თან დაკავშირებულ შეფერხებებს. ამასთან, როგორც ჩანს, გაიზარდა ზოგიერთი ნარკოტიკის, მაგალითად, ამფეტამინისა და მეტამფეტამინის მცირემასშტაბიანი და სახლის პირობებში წარმოება. შესაძლოა, რომ COVID-19-ის პანდემიას დაეჩქარებინა ნარკოტიკების ონლაინ ბაზრის მიმართ ინტერესის ზრდა.

▶ 2022 წლის თებერვალში რუსეთის შეჭრის შემდეგ უკრაინაში არასტაბილური ვითარებაა. მოსალოდნელია, რომ მოკლევადიან პერიოდში შემცირდება ნარკოტიკების პარტიების ტრანსპორტირება უკრაინაში. გარდა ამისა, არ არის გამორიცხული ნარკოტიკების გადაზიდვისთვის სხვა შესვლის პუნქტების გამოყენების ზრდა შავი ზღვის რეგიონში. დიდი ალბათობით, შემცირდება ნარკოტიკების ქვეყნის შიდა წარმოებაც, ხოლო სამედიცინო მომსახურება, მათ შორის, წამლებით მკურნალობა მომავალშიც განიცდის შეფერხებებსა და ოპერაციულ გამოწვევებს.

▶ ბოლო წლების განმავლობაში რეგიონის ზოგიერთ ქვეყანაში აღინიშნებოდა არასტაბილურობა მმართველობასა და ტერიტორიულ საკითხებთან დაკავშირებით, რამაც წარმოქმნა გამოწვევები სამართალდამცავებისთვის და, შესაბამისად, პოტენციურად იმოქმედა ნარკოტრაფიკზე და მათთან დაკავშირებულ დანაშაულებრივ საქმიანობაზე. ზოგიერთი რესპონდენტის ვარაუდით, რუსეთი ამ მხრივ მადესტაბილიზებელ როლს თამაშობდა. ამ საკითხის დეტალურად შესწავლა რთულია. ამასთან, აღვნიშნავთ, რომ რეგიონის წინაშე მდგარ ფართო პოლიტიკურ გამოწვევებს აქვს პოტენციური მომავალში გავლენა იქონიოს ნარკოვიტარებაზე რთულად პროგნოზირებადი

გზებით. ეს გამოწვევები პოტენციურად მნიშვნელოვანია და, შესაბამისად, საჭიროებს აქტიურ მონიტორინგს.

წარმოება

▶ ამფეტამინის და მეტამფეტამინის წარმოება რეგიონში შედარებით მცირე მასშტაბისაა. ამასთან, აფნ-ს წარმოება აღინიშნება უკრაინაშიც. როგორც ჩანს, ეს ნარკოტიკები ძირითადად განკუთვნილია შიდა ბაზრისთვის, თუმცა შესაძლებელია ხდებოდეს მათი მეზობელ ქვეყნებში გატანა კონტრაბანდის სახით.

▶ საქართველოში 2015 წლიდან ფიქსირდება კუსტარული „წიწვების ვინტი“ წარმოებისა და მოხმარების მზარდი ტენდენცია. წიწვის ვინტი ჰქვია ეფედრინის შემცველი მცენარისგან წარმოებულ მეტამფეტამინს. ეს პროცესი შესაძლოა უსწრებდეს უკანასკნელ მოვლენებს ავღანეთში, სადაც ახლახან დაფიქსირდა ეფედრას მცენარისგან მოპოვებული ეფედრინის გამოყენებით მეტამფეტამინის ფართომასშტაბიანი წარმოება.

▶ „ქუჩის მეთადონის“ წარმოება ფიქსირდება უკრაინასა და მოლდოვაშიც. ძირითადად კრისტალურ ფორმაში ხელმისაწვდომ ნარკოტიკს მოიხმარენ ადგილობრივად და, ამასთან, ხდება მისი კონტრაბანდის გზით ბელარუსში, საქართველოსა და რუსეთში გატანა.

ნარკოტრაფიკი

▶ რეგიონი მნიშვნელოვანი სატრანზიტო კერაა არალეგალური ნარკოტიკებისთვის, რადგან მასში გადის ნარკოტრაფიკის რამდენიმე ძირითადი მარშრუტი. ბელარუსი, მოლდოვა და უკრაინა ესაზღვრება ევროკავშირს და შედარებით ახლოსაა იმ ტერიტორიებთან, რომლებიც ცნობილია ამფეტამინის და მეტამფეტამინის ფართომასშტაბიანი წარმოებით, ხოლო სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო მდებარეობს ავღანეთის მახლობლად, რომელიც წარმოადგენს ჰეროინის წარმოების გლობალურს ცენტრს. საერთო ჯამში, ENP-ის აღმოსავლეთ რეგიონში 2016-2020 წლების პერიოდში აღინიშნა ამოღებული ნარკოტიკების რაოდენობის ზრდა. ცნობებზე დაყრდნობით ყველაზე დიდი რაოდენობით ამოღებული ნარკოტიკული საშუალება იყო კანაფი, ხოლო მას შემდეგ ჰეროინი.

▶ ავღანეთიდან ჰეროინის ნარკოტრაფიკის ორი ძირითადი მარშრუტი, ბალკანეთისა და ჩრდილოეთის

მარშრუტები გავლენას ახდენს რეგიონზე. ბალკანური მარშრუტის განშტოება (სამხრეთ კავკასიის მარშრუტი) ასევე გამოიყენება ჰეროინის რეგიონში გადასატანად. გარდა ამისა, სამხრეთ კავკასიაში დაფიქსირდა ირანიდან შემოტანილი, პოტენციურად ირანული ან ავღანური წარმოშობის მეტამფეტამინი.

▶ 2022 წლის თებერვლამდე კოკაინის ამოღების შემთხვევები, რომლებიც დაკავშირებულია უკრაინულ პორტებთან, მიუთითებს შესაძლო მცდელობაზე, სამხრეთ ამერიკიდან შავი ზღვის გავლით განვითარდეს კოკაინის ნარკოტრაფიკის მარშრუტი ENP-ის აღმოსავლეთ რეგიონში, ევროკავშირსა და რუსეთში მოხმარებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტმა ეს პროცესი შეაჩერა, მის ხელახალ გაგრძელებას მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება ჰქონდეს როგორც რეგიონისთვის, ისე ევროკავშირისთვის და, შესაბამისად, ის იმსახურებს გულდასმით მონიტორინგს და შემდგომ ოპერაციულ ნაბიჯებს.

▶ რეგიონისთვის პოტენციური საფრთხეს წარმოადგენს ევროკავშირში სინთეზური ნარკოტიკების წარმოება და მათი ნარკოტრაფიკი. ამ მოსაზრების ირიბი მტკიცებულებაა ექსპერტთა აღქმა, რომ ევროპული სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ რეგიონის ზოგიერთ ქვეყანაში გაიზარდა მეტამფეტამინის და MDMA-ს მოხმარება. თუმცა, ამჟამად არ არსებობს მკაფიო ემპირიული მონაცემები, რომლებიც განამტკიცებდა ამ თვალსაზრისს. ასევე არსებობს სამართალდამცავი წყაროებიდან გარკვეული მინიშნებები, რომ ადგილი ჰქონდა ამფეტამინისა და MDMA-ს ევროკავშირიდან უკრაინასა და მოლდოვაში ნარკოტრაფიკით გატანის შემთხვევებს.

საცალო ვაჭრობა და ხელმისაწვდომობა

▶ ინფორმაცია რეგიონში ნარკოტიკების საცალო ფასების შესახებ მწირია. ძირითადი ინფორმანტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ჰეროინის ფასები სხვა წამლებთან შედარებით მაღალია, ხოლო სისუფთავის მაჩვენებელი კი დაბალი. შესაძლოა, სწორედ ამ ფაქტორს გაეზარდა ნაკლებ ძვირი სინთეზური ნარკოტიკებისა და აფნ-ს მოხმარების ტენდენცია.

▶ გავრცელებული ინფორმაციით, 2018 წლის შემდეგ აღინიშნება ხელმისაწვდომობის მატება სინთეზური ნარკოტიკებზე, მათ შორისაა მეტამფეტამინი და სინთეზური კათინონები, როგორებიცაა ალფა-3პვ და 4-MMC.

ორგანიზებული კრიმინალური ქსელები

▶ შეზღუდული ინფორმაციაა ხელმისაწვდომი ნარკოტრაფიკისა და მისი კრიმინალური აქტორების რეგიონულ უსაფრთხოებაზე გავლენის შესახებ. თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, შავი ზღვის პორტების გავლით ნარკოტრაფიკის შემთხვევათა რაოდენობის მატება უკავშირდება კორუფციის ზრდას.

▶ გავრცელებული ინფორმაციით, ნარკოტიკების წარმოებაში, ნარკოტრაფიკისა და გავრცელებაში ყველაზე აქტიურად ჩართული კრიმინალური ქსელები შედგება ადგილობრივი მოსახლეობისა და რეგიონის მოსაზღვრე ქვეყნების მოქალაქეებისგან. ასევე არსებობს გარკვეული მინიშნებები, რომ რეგიონში მუშაობენ საერთაშორისო კრიმინალური ქსელებიც. მაგალითად, 2021 წელს ოდესის პორტში კოკაინის ფართომასშტაბიანი ამოღება უკავშირდებოდა იტალიის Ndrangheta-ს.

ნარკოტიკების მოხმარება

▶ არსებობს მინიშნებები, რომ ბოლო წლების განმავლობაში ნარკოტიკების მოხმარების პატერნებმა გადაინაცვლა როგორც იმპორტული, ისე შიდა წარმოების სინთეზური ნარკოტიკებისკენ. ამ კუთხით, საყურადღებო ფაქტორია ნარკოტიკების პრევალენტობისა და მოხმარების თავისებურებების ტენდენციების შესახებ მონაცემების ნაკლებობა. ინფორმაციის ამგვარი დეფიციტის გამოსწორება უნდა გახდეს მნიშვნელოვან პრიორიტეტი სამომავლოდ.

▶ ცნობებზე დაყრდნობით, შემცირდა ჰეროინის მოხმარება. ამასობაში გაიზარდა სინთეზური ოპიოიდების (განსაკუთრებით, ქუჩის მეთადონის) მოხმარება. ძირითადი ინფორმანტების აზრით, ქუჩის მეთადონისა და ოპიოიდების აგონისტებით მკურნალობის პროგრამიდან არამიზნობრივად გამოტანილი მედიკამენტების დაბალი ფასი, დაბალი ხარისხის ჰეროინთან ერთად, წარმოადგენს სინთეზური ოპიოიდების მიმართ მზარდი ინტერესის მამოძრავებელ ფაქტორს.

▶ არსებული ინფორმაცია მოიცავს გარკვეულ მინიშნებებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მეტამფეტამინის მოხმარების გაზრდისა და მოლდოვასა და უკრაინაში სინთეზური კათინონების მოხმარების შესახებ. მოხმარების პატერნების შეცვლა აღინიშნება სპეციფიკურ ქვეჯგუფებში, მაგალითად, მეტამფეტამინის და აფნ-ს მოხმარების ზრდა ახალგაზრდებსა და წამლდამოკიდებულების მაღალი რისკის მქონე პირთა შორის. ზოგიერთ სუბკულტურაში ასევე წარმოიშვა „ქიმსექსი“.

ჯანმრთელობა და ზიანი

▶ ექსპერტები გვაფრთხილებენ რომ აფნ-ს და მეტამფეტამინის მოხმარების აღნიშნული ზრდა საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობას, რადგან ისინი ასოცირებულია ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევების გაზრდის რისკთან, მათ შორის, ფსიქოზურ ეპიზოდებთან. გარდა ამისა, მეტამფეტამინის მოხმარებამ სინთეზური ოპიოიდებით შეიძლება გაზარდოს ზედოზირების რისკი ან გამოიწვიოს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა არასასურველი შედეგები.

▶ არსებული ინფორმაციით, რეგიონში შიდა წარმოების ნარკოტიკები ძირითადად დაბალი სისუფთავის და განსხვავებული (როგორც წესი, უცნობი) შემადგენლობისაა. ეს ბადებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მხრივ დამატებით საფრთხეებს და ხაზს უსვამს უფრო მეტი ინვესტიციის საჭიროებას სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზისა და ტოქსიკოლოგიური მონაცემების შეგროვებაში.

უკრაინაში მიმდინარე ომის პოტენციური გავლენა

2022 წლის თებერვალში რუსეთის შეჭრამ უკრაინაში გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი, რომელიც ამჟამადაც მწვავედ ბრუნდება. აღნიშნულ მოვლენას ასევე აქვს პოტენციური გავლენა იქონიოს უკრაინისა და მეზობელი ქვეყნების ნარკობაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კრიზისის ნარკოვითარებაზე საშუალო და გრძელვადიანი ზემოქმედების წინასწარ განსაზღვრა რთულია, ზოგიერთი უშუალო შედეგი უკვე აშკარაა.

უპირველეს ყოვლისა, მოსალოდნელია უკრაინის გავლით ნარკოტრაფიკის დაუყოვნებელი შემცირება, განსაკუთრებით, ჰეროინთან და კოკაინთან მიმართებით. ასევე შესაძლებელია, რომ აღნიშნული შეფერხების შედეგად ნარკოტრაფიკმა გადაინაცვლოს შავი ზღვის რეგიონის სხვა შესვლის წერტილებში. გარდა ამისა, უკრაინაში პრეკურსორებისა და სხვა ქიმიური ნივთიერებების ნაკლებობის გამო, სავარაუდოდ, შემცირდება ამფეტამინის, ქუჩის მეთადონისა და ისეთი აფნ-ს არალეგალური წარმოება, როგორცაა 4-MMC და ალფა-პპპ. ამასთან, ნარკოტიკების შექმნა-გასაღება ნაწილობრივ ხდება ონლაინ. მოსალოდნელია, ნარკოტიკების შექმნის აღნიშნული მეთოდის შეფერხება უკრაინის სხვადასხვა ინფრასტრუქტურაზე თავდასხმების გამო, როგორცაა ინტერნეტი, საბანკო და საფოსტო მომსახურება.

კრიზისმა შეაფერხა სამედიცინო სერვისები, მათ შორის, წამალდამოკიდებულების მკურნალობისა და ზიანის შემცირების სერვისები და, ამასთან, შეამცირა ნივთიერებების მოხმარებასთან ასოცირებული დარღვევების მქონე პირებისთვის ზრუნვაზე წვდომა. ლოგისტიკური გამოწვევები ასევე ახდენს გავლენას პაციენტების მიერ წამალდამოკიდებულების მკურნალობის გაგრძელებაზე, განსაკუთრებით კი ოპიოიდების აგონისტებით მკურნალობის⁽⁵⁾ შემთხვევაში. საფრთხის ქვეშ დგას მეთადონის და ბუპრენორფინის მარაგებზე წვდომა და მათი ხელმისაწვდომობა. სერვისებზე წვდომასთან დაკავშირებული უარყოფითი მოვლენები ზრდის ინფექციურ დაავადებათა გავრცელების რისკს, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ უკრაინაში ნარკოტიკების ინექციის გზით მოხმარება და ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინფექციები კვლავაც მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის. რუსეთის შეჭრამდე უკრაინაში იყო დაახლოებით 350 300 ნარკოტიკების ინექციის გზით მოხმარებული, რომელთა შორის აივ და C ჰეპატიტის ვირუსის (HCV) ინფექციის სავარაუდო გავრცელების მაჩვენებელი იყო დაახლოებით 20% და 64% (Titar და სხვ., 2021). გარდა ამისა, სავარაუდოა, რომ უკრაინაში კონფლიქტის გამწვავების გამო გაიზარდოს ალკოჰოლის, ნარკოტიკების ან ორივე ნივთიერების ერთად მოხმარება, რასაც ხშირად თან ახლავს ფსიქიკური ჯანმრთელობის კომორბიდულობების ზრდა (EMCDDA, 2022b).

უკრაინაში არსებული ვითარება ხაზს უსვამს ჯანდაცვის სერვისების მუდმივი მონიტორინგისა და მხარდაჭერის აუცილებლობას, მათ შორის, მეზობელ ქვეყნებში, რომლებიც უკრაინელი ლტოლვილების დიდ რაოდენობას მასპინძლობენ. რაც მთავარია, კრიზისმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეზობელი ქვეყნების და ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოების მკურნალობისა და ზიანის შემცირების ეროვნულ სისტემებზე. როგორც ასეთი, პრიორიტეტული უნდა გახდეს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებზე ზრუნვის მუდმივობა. EMCDDA-ს (2022b) მიერ მომზადდა უკრაინაში მიმდინარე ომის ნარკოტიკებთან დაკავშირებულ საკითხებზე გავლენის დეტალური სწრაფი შეფასება.

⁽⁵⁾ ტერმინი “ოპიოიდების აგონისტებით მკურნალობა” აქ გამოყენებულია სასურველ ტერმინად, რომელიც აღნიშნავს ოპიოიდური დამოკიდებულების მკურნალობის სხვადასხვა მეთოდს ექიმის დანიშნულებით ოპიოიდური აგონისტების გამოყენებით. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ აღნიშნული ტერმინი მოიცავს ოპიოიდებით ჩანაცვლების მკურნალობას და რომ ის შეიძლება კვლავაც გამოიყენებოდეს EMCDDA-ს მონაცემთა შეგროვების ზოგიერთ ინსტრუმენტსა და ისტორიულ დოკუმენტებში.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ნარკობაზრის ძირითადი მამოძრავებლები და ფასილიტატორები

ონლაინ ბაზრის გამოჩენა და გაფართოება

ონლაინ სივრცეში ნარკოტიკული საშუალებების არალეგალური გასაღება მიღებულ ფორმად იქცა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რაც ახალ შესაძლებლობებს აძლევს კრიმინალურ ქსელებს და ნარკოტიკების ინდივიდუალურ გამსაღებლებს და, ამავდროულად, ახალ გამოწვევებს უქმნის სამართალდამცავებს. ონლაინ-სფეროში ამ მოვლენათა განვითარება სწრაფი იყო, რამაც გავლენა მოახდინა ნარკოტიკების ბაზარზე განთავსების, გასაღებისა და შეძენის გზებზე (EMCDDA, 2016). ცნობილია, რომ ამ პროცესებმა ასევე იმოქმედა ENP-ის აღმოსავლეთ რეგიონზე, სადაც ნარკოტიკების ონლაინ ბაზრის გაჩენა და გაფართოება მნიშვნელოვანი მოვლენაა ბოლო წლების მანძილზე.

მიუხედავად იმისა, რომ ქუჩის დონეზე არალეგალური ნარკოტიკული საშუალებების გასაღება კვლავაც არსებობს რეგიონის ყველა ქვეყანაში, მთავარმა ინფორმანტებმა აღნიშნეს, რომ ონლაინ ნარკობაზრის გამოყენება შესამჩნევად გაიზარდა ბოლო წლებში და რომ უფრო მეტი ადამიანი ყიდულობს ნარკოტიკებს ინტერნეტით (დამატებითი ანალიზისთვის, იხილეთ ჩანართი: [ევროპული ვებ-გამოკითხვა ნარკოტიკებზე: ნარკოტიკების მიწოდების წყაროთა ანალიზი საქართველოსა და უკრაინაში](#)). გარდა ამისა, არსებობს მინიშნებები, რომ ამ მოვლენების შედეგად, შესაძლოა, ნარკოტიკების უფრო ფართო სპექტრი გახდეს ხელმისაწვდომი. ასევე არსებობს მოსაზრება, რომ ონლაინ ბაზარზე განთავსებული ნარკოტიკები უფრო ძლიერია ან უფრო მაღალი სისუფთავის, ვიდრე ქუჩიდან და სხვა ოფლაინ მეთოდებით შეძენილი ნივთიერებები.

ონლაინ ბაზარი, საიდანაც ადამიანები ყიდულობენ ნარკოტიკებს, მოიცავს ინტერნეტს, დარქნეტს (ბნელ ქსელს), სოციალური მედიის პლატფორმებსა და საკომუნიკაციო აპლიკაციებს. ევრაზიის ზიანის შემცირების ასოციაციის (EHRA-ს) ბოლო კვლევამ აჩვენა, რომ ნარკოტიკებით ვაჭრობის ვებსაიტების QR კოდები და ბმულები გამოჩნდა რეგიონის მრავალი ქალაქის საზოგადოებრივ ადგილებში კედლებზე (van der Gouwe, 2021). კერძოდ, ნარკოტიკების მარკეტინგისა და გასაღებისთვის პოპულარული გახდა სხვადასხვა სოციალური მედიის პლატფორმები, მაგალითად, „არხები“ შეტყობინებების აპლიკაცია Telegram-ზე.

Hydra-ს და Matanga-ს მაღაზიები (იხილეთ ჩანართი: Matanga-ს დარქნეტ ბაზარზე განთავსებული ნივთიერებები) ბოლო დრომდე წარმოადგენდნენ რეგიონის წამყვან

დარქნეტ ბაზრებს. როგორც ჩანს, ისინი ემსახურება როგორც საცალო დონის გამსაღებლებს, ისე მათ, ვინც პირადი მოხმარებისთვის ყიდულობენ ნარკოტიკებს. Hydra, ძირითადად რუსულენოვანი მაღაზია, წარმოადგენდა ნარკოტიკების და სხვა არალეგალური საქონლის შედარებით სტაბილურ წყაროს ბოლო ათწლეულის განმავლობაში (CRRC, 2020; Davidadze და სხვ., 2020; Flashpoint, 2021; Lakhov, 2020); თუმცა, გერმანიის პოლიციამ დახურა აღნიშნული მაღაზია 2022 წლის აპრილში (Tidy, 2022).

ონლაინ ნარკობაზრის გამოჩენამ გახადა რეგიონში ნარკობაზარი პოტენციურად უფრო დინამიკური და ურთიერთდაკავშირებული. აღნიშნულმა ონლაინ მაღაზიებმა შეიძლება ხელი შეუწყვეს ისეთი ნარკოტიკების შემოღებას, გასაღებასა და შეძენას, რომლებიც ადრე არ იყო ხელმისაწვდომი, მათ შორისაა აფნ (UNODC, 2022b). ძირითადი ინფორმანტების ცნობით, ეს პოტენციურად აისახება ნარკოტიკების უფრო ფართო სპექტრის ხელმისაწვდომობასა და მოხმარებაში. თუმცა, როგორც ადრე აღინიშნა, ეს მოსაზრებები საჭიროებს შემდგომ რაოდენობრივ კვლევას.

რეგიონში ასევე აღინიშნა ონლაინ შეძენილი ნარკოტიკების მიწოდების მეთოდად „ლოკაციაზე მიტანის“ გამოყენების ზრდა, (EMCDDA, 2020a; EMCDDA and Europol, 2019; UNODC, 2021b; van der Gouwe, 2021) და ამ კუთხით საფოსტო მომსახურების გამოყენების კლება. ამ მოვლენებმა შეიძლება უფრო რთული გახადოს

Matanga დარქნეტ მაღაზიაში გასაყიდად განთავსებული ნივთიერებები

Matanga არის არალეგალური ნარკოტიკული საშუალებების მაღაზია დარქნეტში, რომელიც 2014 წლიდან ფუნქციონირებს საქართველოში და, როგორც ჩანს, იზიდავს მყიდველებს რუსეთიდან, უკრაინიდან და ბელარუსიდან. 2020 წლის კვლევამ დაადგინა, რომ პლატფორმაზე ნარკოტიკების გასაღების უმეტესი აქტივობა დაკავშირებულია კანაფთან, რომელიც მოიცავს დაფიქსირებული ტრანზაქციების დაახლოებით 56%-ს, რასაც მოსდევს კოკაინი და MDMA (CRRC, 2020). კვლევამ აჩვენა, რომ კოკაინი შეადგენს პლატფორმის შემოსავლის თითქმის მეოთხედს. საიტზე ასევე იყო განთავსებული აფნ-ს ფართო არჩევანი, მათ შორის, ისეთი ნივთიერებები, როგორებიცაა ალფა-პჰპ და 25I-NBOMe. ასევე დადგინდა, რომ Matanga-ს ბაზარზე განცხადებების უმეტესობა მოიცავდა ნივთიერებათა მცირე რაოდენობას, რომელსაც სავარაუდოდ ყიდულობენ პირადი მოხმარებისთვის.

ევროპული ვებ-გამოკითხვა ნარკოტიკებზე: ნარკოტიკების მიწოდების წყაროთა ანალიზი საქართველოსა და უკრაინაში


საქართველოსა და უკრაინაში EWSD-ის რესპონდენტებს შეკითხვებზე პასუხის გაცემით საშუალება მიეცათ აეხსნათ, თუ როგორ მოიპოვებდნენ ნარკოტიკებს, რომლებსაც, მათი თქმით, მიმდინარე პერიოდში ყიდულობდნენ და მოიხმარდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი რესპონდენტი ჯგუფის მოცულობა იყო ძალიან მცირე; გამოკითხვა ეფუძნება რესპონდენტთა ხელსაყრელ შერჩევას და, როგორც ონლაინ გამოკითხვა, ვერ მოხდება მისი შედეგების გენერალიზება. მიუხედავად ამისა, შედეგები გვიჩვენებს იმ გზებს, რომლითაც EWSD რესპონდენტები ყიდულობდნენ ნარკოტიკებს.

ქვემოთ მოცემულია მცენარეული კანაფის, ამფეტამინისა და აფნ-ს სამი მაგალითი EWSD-ის მონაცემებიდან. მცენარეული კანაფის შემთხვევაში, უშუალოდ წყაროსთან/დილერთან დაკავშირება იყო ყველაზე ხშირად შერჩეული ვარიანტი ორივე ქვეყნის რესპონდენტების მიერ. თუმცა, საქართველოს შემთხვევაში, მყიდველთა 25%, ხოლო უკრაინაში კი

16%-თვის, ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა სოციალური მედია. უკრაინელ რესპონდენტებში ასევე პოპულარული იყო დარქნეტსა და ჩვეულებრივ ინტერნეტში არსებული ონლაინ მაღაზიები.

რესპონდენტთა ინფორმაციით, ამფეტამინისა და აფნ-ს მყიდველთა შორის პოპულარობით სარგებლობს აღნიშნული ნარკოტიკების ინტერნეტზე დაფუძნებული მოპოვების გზები. თუმცა, EWSD-ის შედეგების ინტერპრეტაციისას საჭიროა სიფრთხილე, რადგან არ შეიძლება მათი განზოგადება უფრო მოცულობით პოპულაციებზე. ამასთან, საქართველოსა და უკრაინაში ბოლოდროინდელ პერიოდში ამფეტამინისა და აფნ-ს მყიდველ რესპონდენტთა რაოდენობა იყო ძალიან მცირე (14 და 16 რესპონდენტი). შესაბამისად, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად საინტერესოა აღნიშნული მონაცემები, ისინი არის წინასწარი და მოითხოვს შემდგომ შესწავლას უფრო ფართომასშტაბიანი კვლევებით.

საქართველოსა და უკრაინაში 2021 წელს რესპონდენტთა მიერ EWSD-ის ფარგლებში დასახელებული მცენარეული კანაფის, ამფეტამინისა და აფნ-ს წყაროები



რესპონდენტთა რაოდენობა – კანაფი: საქართველო - 84, უკრაინა - 367; ამფეტამინი: საქართველო - 14, უკრაინა - 185; აფნ: საქართველო - 11, უკრაინა - 57. წყაროები: EWSD, 2021a და 2021b.


ნარკოტიკების გასაღების შეჩერება ან შეფერხება. ჩატბოტების გამოყენებამ ასევე შეამცირა ნარკოტიკების გასაყიდად საჭირო „ტრადიციული“ ინფრასტრუქტურის საჭიროება. ჩატბოტები არის ავტომატური პროგრამული აპლიკაციები, რომლებსაც შეუძლია შეტყობინებების გენერირება ან ავტომატურ რეჟიმში საუბარი სოციალური მედიის არხებზე. მაგალითად, მათი გამოყენებით შეიძლება ყურადღების მიპყრობა ნარკოტიკებით ვაჭრობის ვებსაიტებზე (მაგალითებისთვის იხილეთ სურათი 2)

კრიმინალური საქმიანობის უფრო ფართო კონტექსტი

რეგიონის სამართალდამცავი ორგანოები აღნიშნავენ, რომ ნარკოტიკების შიდა წარმოებაში, ნარკოტრაფიკსა და რეალიზაციაში ჩართული ადამიანების უმეტესობა წარმოადგენს ადგილობრივ ან რეგიონის მეზობელი ქვეყნების მოქალაქეებს (მაგ. რუსები, ირანელები ან ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მოქალაქეები)

სურათი 2

2 „სკრინშოტი“ (ეკრანის ანაბეჭდი) ნარკოტიკების სარეალიზაციო ონლაინ მაღაზიიდან უკრაინულ ენაზე („Matanga“)



წყარო: ალტერნატივა ჯორჯია, თბილისი, საქართველო.

(Melnychuk, 2021). ამასთან, არსებობს გარკვეული მინიშნებები ნარკოტიკებთან დაკავშირებული საერთაშორისო კრიმინალური ქსელების შესახებ, რომლებიც ENP-ის აღმოსავლეთ რეგიონში მოქმედებენ, მაგრამ ინფორმაცია ამ თემაზე შეზღუდულია. თუმცა, ერთ-ერთი ასეთი კრიმინალური ქსელის, იტალიური Ndrangheta-ს არსებობა 2021 წლის ზაფხულში დაფიქსირდა უკრაინაში, როდესაც ოდესის პორტში 120 კილოგრამი კოკაინი ამოიღეს (Sydoruk, 2021).

ინფორმაციის სიმწირის გამო, ნარკოტიკებთან დაკავშირებულ კრიმინალურ ქსელებს შორის რეგიონში კონკურენციისა და ნარკოტიკებთან დაკავშირებული ძალადობის მასშტაბები მეტწილად უცნობია. ანალოგიურად, დაუზუსტებელია ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობის უფრო ფართო შედეგები ეკონომიკასა და მმართველობაზე. შეზღუდული ხელმისაწვდომი ინფორმაციის გათვალისწინებით, არ რჩება შთაბეჭდილება, რომ ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაული მნიშვნელოვნად ძირს უთხრის რეგიონში კანონის უზენაესობას (IPFPEDM, 2022; NDO, 2022). თუმცა, არსებობს მინიშნებები, რომ ნარკოტრაფიკი ამწვავებს შავი ზღვის პორტებში კორუფციას, ამგვარი შესვლის პუნქტების გავლით ნარკოტრაფიკის პოტენციური ზრდის პარალელურად. ამრიგად, საფრთხედ უნდა აღიქმებოდეს ნარკობაზრის აქტივობის მზარდი ნეგატიური გავლენა რეგიონის მმართველობასა და უსაფრთხოებაზე.

ზოგიერთი რესპონდენტის მოსაზრებით, რუსეთის სახელმწიფოს მცდელობა, იქონიოს რეგიონზე პოლიტიკური და ეკონომიკური ზეგავლენა, უარყოფითად აისახება გარკვეულ სფეროთა უსაფრთხოებასა და მმართველობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი აქ დეტალურად არ არის შესწავლილი, აღნიშნულია, რომ რეგიონის წინაშე მდგარ ფართო პოლიტიკურ გამოწვევებს აქვს პოტენციური გავლენა მოახდინოს მომავალში ნარკოვითარებაზე იმ გზებით, რომლებიც ამჟამად რთულად პროგნოზირებადი, თუმცა პოტენციურად მნიშვნელოვანია. შესაბამისად, აღნიშნული ფაქტორი საჭიროებს აქტიურ მონიტორინგსა და შემდგომ გამოკვლევას.

COVID-19-ის პანდემიის გავლენა

EMCDDA-მ მოამზადა ანგარიში ENP-ის აღმოსავლეთ ქვეყნებში ნარკოვითარებაზე COVID-19-ის გავლენის შესახებ (EMCDDA, 2020a). ამ ანგარიშის თანახმად, ნარკობაზარი მცირედ ან ზომიერად შემცირდა COVID-19-ის გავრცელების შემზღუდველი ზომების შემოღების შემდეგ. ასევე ფიქსირდება შეფერხებები ნარკოტიკების მიწოდების ქსელში და ზოგიერთი ნარკოტიკის საცალო ფასის ზრდა. გარკვეული ნივთიერებების, როგორებიცაა დეზომორფინი (ადგილობრივად ცნობილი როგორც „ნიანგი“), ამფეტამინი და მეტამფეტამინი, მცირემასშტაბიანი ან სახლის პირობებში წარმოება დროებით გაიზარდა სხვა ნარკოტიკებზე გართულებული წვდომის გამო. სავარაუდოდ, პირისპირი კონტაქტის შემზღუდველი საზოგადოებრივი წესრიგის ღონისძიებების შედეგად, საცალო დონეზე გაიზარდა ნარკოტიკებით უკონტაქტო ვაჭრობა.

პანდემიის გავლენა ნარკოტიკების მოხმარებაზე, ერთი შეხედვით, განსხვავდებოდა მოხმარების სიხშირისა და ნივთიერებების მიხედვით, ევროკავშირის ქვეყნების მსგავსად. მაგალითად, ნაკლები ცვლილება განიცადა კანაფის მოხმარებამ, თუმცა მოხმარების პატერნები განსხვავდებოდა კანაფის რეკრეაციული მიზნებით მომხმარებლებსა და უფრო ხშირ მომხმარებლებს შორის. გარდა ამისა, შემცირდა იმ ნივთიერებათა მოხმარება, რომლებიც ძირითადად ნარკოტრაფიკით შემოდის რეგიონში, როგორებიცაა ჰეროინი, MDMA, ამფეტამინი და კოკაინი. პარალელურად, შესაძლოა გაზრდილიყო ისეთი ლეგალური ნივთიერებების ავადმომხმარება, როგორებიცაა ალკოჰოლი და ფარმაცევტული საშუალებები. ზოგიერთ ქვეყანაში ჰეროინის შემცირებულ ხელმისაწვდომობას შესაძლოა გაეზარდა მოთხოვნა მკურნალობაზე, მათ შორის, ოპიოიდების აგონისტებით მკურნალობაზე. ამავდროულად, როგორც ჩანს, შემცირდა ჯანდაცვის ისეთი სერვისების მიწოდება და ხელმისაწვდომობა, რომლებიც არ არის დაკავშირებული COVID-19-თან, მათ შორის, ნარკოტიკებთან დაკავშირებულ

სერვისებზე. თუმცა, პანდემიის მსვლელობისას რეგიონის ბევრმა ქვეყანამ სწრაფად მოახდინა თავისი სერვისების ადაპტირება, მაგალითად, დაუშვა მედიკამენტების რამდენიმე დღის დოზის სახლში გატანა, ოპიოიდების აგონისტებით მკურნალობისას და დისტანციური და მობილური სერვისების მიწოდება.

მიუხედავად იმისა, რომ რთულია ნარკობაზარზე, სერვისებსა და ნარკოტიკების მოხმარების პატერნებზე COVID-19-ის გრძელვადიანი ზემოქმედების განჭვრეტა, აღინიშნება გარკვეული ცვლილებები. წინამდებარე ანგარიშისთვის გამოკითხული ძირითადი ინფორმანტების თანახმად, პანდემიის პოტენციური გრძელვადიანი ეფექტი, როგორც ჩანს, არის ნარკოტიკების ონლაინ შესყიდვის შემდგომი ზრდა.

რამდენიმე რეკომენდაცია შეიძლება გაკეთდეს, პანდემიის გავლენისა და გამოცდილებით მიღებული გაკვეთილებიდან გამომდინარე. მაგალითად, მომსახურების მიწოდების ადაპტირებაში მიღწეული წარმატებების გათვალისწინებით, ხელისუფლებას შეიძლება დასჭირდეს იმის განხილვა, თუ როგორ უნდა შეინარჩუნოს ისეთი ინოვაციური მიდგომები, როგორებიცაა ონლაინ კონსულტაციები და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და, საჭიროების შემთხვევაში, მედიკამენტების მიღება სახლში ოპიოიდების აგონისტებით მკურნალობის პროგრამების მეშვეობით. გარდა ამისა, პანდემიის დასასრულს მნიშვნელოვანი იქნება ნებისმიერი ცვლილების მონიტორინგი ნარკოტიკების ხელმისაწვდომობისა და მოხმარების კუთხით, ზოგიერთ ქვეყანაში ნარკოტიკების სახლის პირობებში წარმოების ჩათვლით.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ EMCDDA-ის ტენდენციების კვლევის მოკლე ანგარიში ნარკოვთარებაზე COVID-19-ის გავლენის შესახებ ENP-ის აღმოსავლეთ ქვეყნებში (EMCDDA, 2020a).

კანაფი

რეგიონში არსებული კანაფის პროდუქტების ძირითადი სახეობებია მცენარეული კანაფი და კანაფის ფისი (ჰაშიში). სინთეზური კანაბინოიდები განხილულია აფნ-ს ნაწილში.

წარმოება

მცენარეული კანაფი კულტივირებულია ENP-ის აღმოსავლეთ რეგიონში პირადი მოხმარებისა და არალეგალური ბაზრისთვის; უცნობია ჰაშიშის ადგილობრივად წარმოების მასშტაბები. კანაფის კულტივაციის სამართლებრივი შედეგები განსხვავდება რეგიონის სხვადასხვა ქვეყანაში (6).

(6) დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: https://www.emcdda.europa.eu/publications/topic-overviews/content/drug-law-penalties-at-a-glance_en.

ნარკოტრაფიკი და მიწოდება

გაეროს ნარკოტიკების და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისმა (UNODC) განაცხადა, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში და უკრაინაში, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გაიზარდა კანაფის ამოდების შემთხვევები (UNODC, 2022a). კანაფი შეადგენს 2020 წელს ამოდებული ნარკოტიკების ყველაზე დიდ რაოდენობას (დაახლოებით 68%) ENP-ის აღმოსავლეთ რეგიონში (იხ. [დანართი](#)). რეგიონში კულტივირებული მცენარეული კანაფის ნარკოტრაფიკი მოიცავს თვით რეგიონს და მეზობელ ქვეყნებს (სურათი 3).

ბელარუსი, მოლდოვა და უკრაინა აღნიშნავენ ნარკოტრაფიკს შემდგომი მიმართულებებით: რუსეთში და რუსეთიდან, ევროკავშირში და ევროკავშირიდან, და ჩრდილოეთ აფრიკიდან. პოლონეთი ეროვნული საკონტაქტო პირის გამოუქვეყნებელ მონაცემებზე

სურათი 3

კანაფის ნარკოტრაფიკის მთავარი მარშრუტები ENP აღმოსავლეთ ქვეყნებში



დაყრდნობით, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, კანაფი კონტრაბანდის სახით იქნა შემოტანილი ეგრეთ წოდებული „ესპანური გზის“ გავლით მაროკოდან, შემდგომ კი ევროკავშირიდან უკრაინასა და ბელარუსში და პოტენციურად რუსეთში. ძირითადი ინფორმანტები ვარაუდობენ, რომ უკრაინაში რუსეთის ოკუპაციის ქვეშ მყოფმა ტერიტორიებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ნარკოტრაფიკში და რომ ორგანიზებული კრიმინალური ქსელები კოორდინაციას უწევენ ამ ტერიტორიებზე ნარკოტიკების წარმოებასა და გავრცელებას. აღნიშნული ვარაუდი საჭიროებს შემდგომ შემოწმებას და დაკვირვებას, განსაკუთრებით ამ სფეროში არსებული დინამიკური სიტუაციის გათვალისწინებით.

როგორც ჩანს, კანაფის ნარკოტრაფიკი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ხდება ირანიდან, მაგალითად, სომხეთის სამხრეთ რეგიონებში.

საცალო ვაჭრობა

კანაფის პროდუქტები იყიდება ფიზიკურ ნარკობაზრასა და, ნაკლებად, ონლაინ ბაზარზე.

არსებული ინფორმაციით, საქართველოში, 2019 წელს 1 გრამი მცენარეული კანაფის ღირებულება შეადგენდა საშუალოდ 28 ევროს (NDO, 2021). 2020 წელს უკრაინაში 1 გრამი მცენარეული კანაფის ღირებულება მერყეობდა 0,64 ევროდან 8,12 ევრომდე, ხოლო 1 გრამი ჰაშიში საშუალოდ 19,49 ევრო ღირდა (IPFPEDM, 2022). უახლესი მონაცემებით EWSD-ის 2021 წლის ანგარიშიდან, უკრაინაში საშუალო ფასი გრამ მცენარეულ კანაფზე შეადგენდა 6.8 ევროს, ფისის ფასი კი 15.8 ევროს (EWSD, 2021b).

ხელმისაწვდომობა, მოხმარება და ზიანი

კანაფი აღიქმება, როგორც ყველაზე ხშირად მოხმარებადი და ფართოდ ხელმისაწვდომი არალეგალური ნარკოტიკი რეგიონში. საერთო ჯამში, კანაფის მოხმარების ტენდენციები რეგიონში მეტ - ნაკლებად უცვლელია, თუმცა მყარი ემპირიული მონაცემების წყაროთა არარსებობა გარკვეულწილად იწვევს გაურკვევლობას ამ საკითხში.

ცნობილია, რომ რეგიონში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სიმძლავრისა და სახეობის მცენარეული კანაფისა და ჰაშიშის სახეობები. ძირითადი ინფორმანტების ცნობით, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში კანაფის „ხარისხი“ ზოგადად მაღალია. ხოლო, ბელარუსში, მოლდოვასა და უკრაინაში კანაფის ხარისხი ზოგადად მიჩნეული იყო ცუდად. სავარაუდოა, რომ ეს ხარისხობრივი კრიტერიუმები

ნაწილობრივ მაინც ასახავს არალეგალურ ბაზარზე არსებული კანაფის პროდუქტების სიმძლავრეს. უკრაინაში, ძირითადი ინფორმანტების თქმით, დაფიქსირდა კანაფის პროდუქტების სინთეზური კანაბინოიდებით დაბინძურების შემთხვევები. აღნიშნულ საკითხს, რომელიც ასევე დაფიქსირდა ევროკავშირში, შეუძლია გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე (EMCDDA, 2022a).

2019 წელს უკრაინაში ჩატარებული ESPAD-ის უახლესი კვლევის საფუძველზე, კანაფის მოხმარების მაჩვენებელი ბოლო წლებში, როგორც ჩანს, გარკვეულწილად უცვლელია. კერძოდ, აღნიშნულ კვლევაში 15-16 წლის მოსწავლეების 7.9%-მა აღნიშნა ცხოვრების მანძილზე კანაფის მოხმარება (ESPAD, 2020), წინამორბედი კვლევის 9%-თან შედარებით (ESPAD, 2015). ეს განსხვავება შეიძლება გამოწვეული იყოს რესპონდენტთა შერჩევის ცვალებადობით ან სხვა მეთოდოლოგიური დეტალებით და არ უნდა იქნეს აღქმული, როგორც დროის ამ ორ პუნქტს შორის გავრცელების მაჩვენებლების სხვაობის აუცილებელი ინდიკატორი. ინფორმანტების თქმით, საქართველოში კანაფის მოხმარება იზრდება. 2018 წლის ივლისიდან ძალაშია ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ ზრდასრული პირების მიერ კანაფის მოხმარება პირად სივრცეში არ უნდა წარმოადგენდეს დანაშაულს. თუმცა, სასამართლოს არ განუხილავს კანაფის პირადი მოხმარების მიზნით შენახვის საკითხი. საქართველოში ESPAD-ის უახლესი კვლევის მიხედვით, 2019 წელს, 15-16 წლის მოსწავლეთა 14%-მა განაცხადა, რომ ერთხელ მაინც მოიხმარა კანაფი ცხოვრებაში (ESPAD, 2020), 2015 წელს მოსწავლეთა 11%-თან შედარებით (ESPAD 2015).

კოკაინი

მიუხედავად იმისა, რომ მონაცემები შეზღუდულია, კოკაინის ჰიდროქლორიდი (კოკაინის ფხვნილი) აღნიშნული ნარკოტიკის რეგიონში ხელმისაწვდომი ერთადერთი ფორმაა. Freebase (ფუძე) ან „კრეკ“ კოკაინი არ არის გავრცელებული რეგიონში. თუმცა, შესაძლებელია, რომ კოკაინის ფხვნილის მყიდველებმა თავად გადაიყვანონ კოკაინი თავისუფალ ფორმაში, თუმცა უცნობია რამდენად ხშირია ამგვარი შემთხვევები.


ნარკოტრაფიკი

არსებული მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ რეგიონში კოკაინის ამოღების მაჩვენებელი მთლიანობაში დაბალია. გამონაკლისია უკრაინა, სადაც 2019 და 2020 წლებში დაფიქსირდა ამოღებული კოკაინის ყველაზე დიდი რაოდენობა (თითქმის 837კგ 2019 წელს და 166კგ 2020 წელს). ეს შეიძლება ასახავდეს ქვეყნის როლს კოკაინის ნარკოტრაფიკის მარშრუტებში (სურათი 4), როგორც

ქვემოთაა განხილული. საერთო ჯამში, 2020 წელს კოკაინი იყო რაოდენობრივად მესამე ყველაზე ფართოდ ამოღებული ნარკოტიკი რეგიონში (იხ. [დანართი](#)), თუმცა ამ მაჩვენებელს წინ უძღვის უკრაინაში განხორციელებული ფართომასშტაბიანი ამოღება.

სამხრეთ ამერიკაში კოკაინის მწარმოებლებსა და ევროპის სამომხმარებლო ბაზარს შორის არსებობს დიდი რაოდენობით მარშრუტები და გადატვირთვის პუნქტები (EMCDDA, 2022a). ევროკავშირში ამოღებული კოკაინის უმეტესი ნაწილი ტრანსპორტირდება საზღვაო გადაზიდვის კონტეინერებით ჰოლანდიის, ბელგიისა და სხვა ქვეყნების დიდ პორტებში. თუმცა, ახლახან შეიძლება შექმნილიყო კოკაინის ნარკოტრაფიკის ახალი მარშრუტი, რომლის ფარგლებშიც კოკაინის ტრანსპორტირება ხდება სამხრეთ ამერიკიდან შავი ზღვის მოსაზღვრე ქვეყნების გავლით, პოტენციურად ევროკავშირის ბაზრისთვის. თუმცა, ამ მარშრუტზე მოძრავი ნარკოტიკების ნაკადები მცირეა ევროკავშირში კოკაინის ცნობილ მთავარ შესვლის პუნქტებთან შედარებით.

სურათი 4
კოკაინის ნარკოტრაფიკის მთავარი მარშრუტები ENP-ის აღმოსავლეთ ქვეყნებში



ცნობების თანახმად, უკრაინაში რუსეთის შეჭრამდე კოკაინის პარტიები შემოდის ოდესის პორტსა და პოტენციურად შავი ზღვის სხვა პორტებში, მათ შორის, საზღვაო კონტეინერებით. ადრე მიაჩნდათ, რომ ეს პარტიები შემდგომში ტრანსპორტირდებოდა ბალკანეთის, პოლონეთის ან დასავლეთ ევროპის სამომხმარებლო ბაზარზე. ძირითადი ინფორმანტების თქმით, ოდესში სამხრეთ ან ცენტრალური ამერიკიდან შემოსული კოკაინის უფრო დიდი პარტიები (50 კგ ან მეტი) გამოწვეული იყო შემდგომი ტრანზიტისთვის, ხოლო მცირე რაოდენობა (10 კგ-ზე ნაკლები) ჩვეულებრივ შიდა ბაზრისთვის იყო განკუთვნილი. ძირითადი ინფორმანტები ასევე ვარაუდობენ, რომ იყო შემთხვევები, როდესაც თვით პორტის ხელმძღვანელები და თანამშრომლები მონაწილეობდნენ და ხელს უწყობდნენ კოკაინის გადაზიდვას.

გავრცელებული ინფორმაციით, უკრაინაში კოკაინის ნარკოტრაფიკის მონაწილეთა უმეტესობა წარმოადგენს უკრაინის მოქალაქეებს, რომლებიც იცნობენ ამ ტერიტორიას და შეუძლიათ ტრანზიტის გამარტივება. თუმცა, ცნობილია, რომ გარკვეულწილად ჩართული არიან რუსეთისა და სხვა მეზობელი ქვეყნების მოქალაქეებიც. არ არის გამორიცხული ევროკავშირის მოქალაქეების ჩართულობაც. უკრაინის სამთავრობო სააგენტოს ანგარიშის თანახმად, ასევე ფიქსირდება ლათინური ამერიკის ორგანიზებული კრიმინალური ქსელების აქტივობა შავი ზღვის პორტებში (IPFPEDM, 2022).

2021 წელს უკრაინამ გამოავლინა ქვეყანაში მოქმედი ტრანსნაციონალური ქსელი, რაც შეიძლება მიუთითებდეს უკრაინის როლის გაზრდის შესაძლებლობაზე ევროკავშირში კოკაინის ნარკოტრაფიკის კუთხით და, ამასთან, კოკაინის ნარკოტრაფიკის მარშრუტების შესაძლო დივერსიფიკაციაზე. უკრაინის უშიშროების სამსახურმა ოდესის პორტში სამხრეთ ამერიკიდან ევროპისთვის განკუთვნილი 120 კილოგრამი კოკაინი ამოიღო, რომლის ღირებულება დაახლოებით 18 მილიონ ევროს შეადგენდა. მათ დააკავეს სამი პირი იტალიური მავიოზური ორგანიზაცია Ndrangheta-დან და ასევე რუმინეთის, ალბანეთისა და უკრაინის მოქალაქეები (Sydoruk, 2021).

გავრცელებული ინფორმაციით, კოკაინი ევროკავშირიდანაც შევიდა უკრაინაში შიდა ბაზრისთვის. ლიეტუვის საკონტაქტო პირმა ასევე განაცხადა, რომ სამხრეთ ამერიკული წარმოშობის კოკაინი ლიეტუვის გავლით საზღვაო გადაზიდვებით ან საავტომობილო ტრანსპორტით გავიდა რუსეთში, ბელარუსსა და ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში.

ინფორმაცია სამხრეთ კავკასიაში კოკაინის ნარკოტრაფიკის შესახებ უფრო შეზღუდულია, რაც, სავარაუდოდ, უფრო მცირე ბაზარს ასახავს. ძირითადი ინფორმანტების ცნობით, კოკაინი ჩვეულებრივ კონტრაბანდის სახით შემოდის ამ

ქვეყნებში რუსეთიდან ან სპარსეთის ყურის რეგიონიდან საჰაერო გზით. UNODC-მ ახლახან აღნიშნა კოკაინის ამოღების რამდენიმე კონკრეტული შემთხვევა სამხრეთ კავკასიაში, თუმცა კვლავ მცირე რაოდენობით (UNODC, 2022b). ეს მიუთითებს ან ახალ სატრანზიტო მარშრუტებზე, ან კოკაინის მზარდ ბაზარზე სამხრეთ კავკასიაში.

საცალო ვაჭრობა, ხელმისაწვდომობა, მოხმარება და ზიანი

კოკაინს მთელ რეგიონში ძვირადღირებულ ნარკოტიკად მიიჩნევენ, მისი მაღალი ფასის გამო. ძირითადი ინფორმანტების ცნობით, რეგიონში 1 გრამი კოკაინის საშუალო ფასი 150-300 ევროა. EWSD-ის რესპონდენტებმა საქართველოში განაცხადეს, რომ 1 გრამი კოკაინის ფხვნილი საშუალოდ 163,3 ევრო ღირს. უკრაინის ხელისუფლების მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 1 გრამი კოკაინის ღირებულება 78-195 ევროს შეადგენდა (IPFPEDM, 2022). უკრაინაში EWSD-ის რესპონდენტთა ცნობებით, კოკაინის ფხვნილის საშუალო ფასი 2021 წელს იყო 119,5 ევრო (EWSD, 2021b).

როგორც ჩანს, კოკაინის მოხმარება რეგიონში დაბალია, თუმცა სანდო მონაცემები ზოგად მოსახლეობაში მისი გავრცელების შესახებ არ არის ხელმისაწვდომი. საქართველოს (396 რესპონდენტი) და უკრაინის (866 რესპონდენტი) EWSD მონაცემებზე დაყრდნობით, რესპონდენტთა 22%-მა და 21%-მა აღნიშნა ბოლო წლის მანძილზე კოკაინის მოხმარება (EWSD, 2021a, 2021b). მიუხედავად იმისა, რომ ეს მიუთითებს რეგიონში კოკაინის მოხმარების არსებობაზე, შეუძლებელია აღნიშნული მონაცემებიდან უფრო ფართო დასკვნების გამოტანა ზოგად მოსახლეობაში კოკაინის მოხმარების გავრცელებასთან დაკავშირებით.

მთავარმა ინფორმანტებმა განაცხადეს, რომ კოკაინის ხელმისაწვდომობა უკრაინასა და საქართველოში იზრდება, თუმცა მაინც დაბალ დონეზე, და რომ ნარკოტიკის მოხმარება ძირითადად ხდება ღამის ცხოვრების ფარგლებში. ამავდროულად, მოლდოვისა და ბელარუსის შიდა ბაზარზე, როგორც ჩანს, ძალიან ცოტა კოკაინია ხელმისაწვდომი. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში კოკაინის ხელმისაწვდომობა ალბათ ყველა დროის მაღალ დონეზეა და 2020 წელს კოკაინის სისუფთავემ მიაღწია უმაღლეს დონეს ბოლო ათწლეულის განმავლობაში (EMCDDA, 2022a).

ჰეროინი და სხვა ოპიოიდები

რეგიონში არალეგალურ ნარკობაზარზე ხელმისაწვდომია ოპიოიდების ფართო სპექტრი, მათ შორის, ჰეროინი, “ქუჩის მეთადონი”, სამედიცინო მოხმარებიდან არალეგალურ ბრუნვაში გატანილი ოპიოიდის აგონისტი მედიკამენტები (იხილეთ ჩანართი: [ოპიოიდის აგონისტი თერაპიაში გამოყენებული მედიკამენტების პოტენციური გატანა არალეგალურ ბრუნვაში](#)) და სინთეზური ოპიოიდები.

წარმოება

რეგიონში ოპიუმის ყაყაჩოს კულტივაციის მასშტაბები უცნობია და, სავარაუდოდ, საკმაოდ შეზღუდულია. თუმცა, აზერბაიჯანში დაფიქსირდა ყაყაჩოს ექსტრაქტების კუსტარული წარმოება და ასევე არსებობს გარკვეული ნიშნები საქართველოში ჰეროინის შესაძლო, მაგრამ ძალიან მცირე მასშტაბის წარმოების შესახებ (van Ginkel, 2022).

ოპიოიდის აგონისტი თერაპიაში გამოყენებული მედიკამენტების პოტენციური გატანა არალეგალურ ბრუნვაში

ძირითადი ინფორმანტების ცნობით, ზოგიერთი მედიკამენტი, რომელიც რეცეპტით ინიშნება რეგიონში არსებული ოპიოიდის აგონისტი მკურნალობის პროგრამების მეშვეობით, გადადის არალეგალურ ბრუნვაში. ზოგიერთი რესპონდენტის აზრით, ამ მედიკამენტების, ძირითადად მეთადონისა და ბუპრენორფინის, არალეგალურ ბრუნვაში გატანა შესაძლოა გაზრდილიყო COVID-19-ის პანდემიის დაწყებასთან ერთად, რადგან რეგიონის მთავრობებმა დასაშვები გაზარდეს ამ ნივთიერებების სახლში მოხმარება. თუმცა, ამ ცნობების ინტერპრეტაციისას საჭიროა სიფრთხილე და ამ რეგიონის ზოგიერთ ქვეყანაში ქუჩის მეთადონის გრძელვადიანი არსებობისა და წარმოების კონტექსტის გათვალისწინება (EMCDDA, 2020a). გარდა ამისა, ოპიოიდის აგონისტი მკურნალობაში ჩართულ პაციენტთა შედარებით დაბალი რაოდენობისა და, ამასთან, არალეგალურ ბაზარზე დიდი რაოდენობით „მეთადონის“ ხელმისაწვდომის გათვალისწინებით, ნაკლებ სავარაუდოა, რომ წამალდამოკიდებულების მკურნალობის შიდა პროგრამებიდან არალეგალურ ბრუნვაში გასული მედიკამენტები შეადგენდეს უკანანო ბაზარზე განთავსებული პრეპარატების დიდ წილს. ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის დეფიციტის გათვალისწინებით, საჭიროა შემდგომი მუშაობა რეგიონის არალეგალურ ნარკობაზარზე არსებული ოპიოიდების ხელმისაწვდომობის, ფორმისა და წყაროს შესასწავლად. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა წარმოადგენს გასაღებს აღნიშნული ფენომენის ასახსნელად.

კუსტარული ყაყაჩოს პრეპარატების წარმოება დაფიქსირდა მოლდოვაშიც, სადაც ისინი განკუთვნილია შიდა მოხმარებისთვის და შესაძლოა რუსეთის ბაზარზე გასატანადაც. წინამდებარე ანგარიშის ფარგლებში არ აღნიშნულა უკრაინასა და ბელარუსში ყაყაჩოს კულტივირების შედეგად ოპიოიდების მიმდინარე წარმოება.

უკრაინული ორგანიზებული კრიმინალური ქსელების მიერ ქუჩის მეთადონის (7) უფრო ფართომასშტაბიანი წარმოება დაფიქსირდა ფარულ ლაბორატორიებში (IPFPEDM, 2022; Melnychuk, 2021). უკრაინის ნარკოტიკების შემოწმების სამსახურების ლაბორატორიულმა ანალიზებმა აჩვენა, რომ ნივთიერება, რომელსაც ქუჩის მეთადონს უწოდებენ, ყოველთვის არ შეიცავს მეთადონს (Kushakov, 2021). უკრაინული ძირითადი ინფორმანტების თქმით, ცოტა ხნის წინ ქვეყანაში კარფენტანლის წარმოების ლაბორატორიაც აღმოაჩინეს, თუმცა ამ მოვლენის შესახებ დეტალური ინფორმაცია არ მოიპოვებოდა.

ნარკოტრაფიკი

ავღანეთში წარმოებული ჰეროინი და ოპიუმი ჩვეულებრივ ირანიდან ხვდება ENP-ის აღმოსავლეთ რეგიონში ან თურქეთის გავლით, ან პირდაპირ ირანიდან სამხრეთ კავკასიაში (სურათი 5) (Sydoruk, 2021; van Ginkel, 2022). ჰეროინი არის რაოდენობრივად მეორე ყველაზე გავრცელებული ნარკოტიკი რეგიონში კანაფის შემდეგ (იხილეთ [დანართი](#)). 2020 წელს რეგიონში თითქმის 3 ტონა ნარკოტიკი იქნა ამოღებული.


ENP-ის აღმოსავლეთ რეგიონზე გავლენას ახდენს ავღანური ოპიატების ნარკოტრაფიკის ორი ძირითადი მარშრუტი, კერძოდ, ჩრდილოეთის და ბალკანეთის მარშრუტები (EMCDDA, 2015). ჩრდილოეთის მარშრუტზე გამავალი ჰეროინი ჩვეულებრივ გადადის ავღანეთიდან ტაჯიკეთში და ძირითადად განკუთვნილია ცენტრალური აზიის, რუსეთის, უკრაინისა და ბელარუსის სამომხმარებლო ბაზარზე. თუმცა, ფიქსირდება ჩრდილოეთის მარშრუტის განშტოება, რომლითაც ჰეროინი ავღანეთიდან ირანში, სამხრეთ კავკასიაში და შემდგომ რუსეთში და მეზობელ ქვეყნებში გადადის.

ბალკანეთის მარშრუტი ჰეროინის ტრეფიკინგის ყველაზე მნიშვნელოვანი გზაა ევროკავშირისკენ. აღნიშნული მარშრუტი, რომელიც გადის ირანსა და თურქეთში, წარმოადგენს უმოკლეს და პირდაპირ სახმელეთო

(7) აღნიშნული ნარკოტიკი ხშირად ინექციის გზით მოხმარებოდა და უწოდებენ „კრისტალურ მეთადონს“ (EMCDDA, 2020a).

სურათი 5

ჰეროინის ნარკოტრაფიკის მთავარი მარშრუტები ENP-ის აღმოსავლეთ ქვეყნებში



გზას ევროპის სამომხმარებლო ბაზარზე. ბალკანეთის მარშრუტი რამდენიმე განსხვავებულ „განმტოებას“ მოიცავს, სადაც მოვაჭრეები იყენებენ საზღვრით, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის მეთოდებს ჰეროინის ევროკავშირისა და მეზობელ ქვეყნებში გადასატანად.

ტერმინი სამხრეთ კავკასიის მარშრუტი ეწოდება განმტოებას, რომელიც გადის ირანიდან თურქეთში სამხრეთ კავკასიის გავლით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გზა გარკვეულწილად აღიქმება ბალკანეთის მარშრუტის განმტოებად, შესაძლებელია, რომ სამხრეთ კავკასიაში ნარკოტრაფიკით გამავალი ოპიატების ნაწილი გვერდს უვლიდეს თურქეთს, და საქართველოს ბათუმის პორტიდან პირდაპირ გადიოდეს ბულგარეთში, რუმინეთში ან უკრაინაში (van Ginkel, 2022). ამრიგად, სამხრეთ კავკასიის მარშრუტი წარმოადგენს უამრავ შესაძლო კავშირს სამომხმარებლო ბაზართან საზღვრით გზით და შავი ზღვის გავლით.

ძირითადი ინფორმანტების ცნობით, ჰეროინის ტრანსპორტირება ხდება კომერციული ბორნით შავ ზღვაზე თურქეთს, საქართველოსა და უკრაინას შორის. ამ კონტექსტში, უკრაინა მნიშვნელოვანია ევროკავშირის ან რუსეთისთვის განკუთვნილი ჰეროინის ნარკოტრაფიკისთვის, რამდენადაც ის ასრულებს გადატვირთვის პუნქტის როლს, სადაც შესაძლებელია ნარკოტიკების შენახვა მეზობელ

ქვეყნებში საავტომობილო გზით გადატანამდე. UNODC-ის თანახმად, არსებული მონაცემები მიუთითებს, რომ ჰეროინის ნარკოტრაფიკი უკრაინის გავლით, სავარაუდოდ, იზრდებოდა 2022 წლის თებერვალში რუსეთის შეჭრამდე (UNODC, 2022b). აღნიშნული პერიოდის შემდეგ ვითარება გაურკვეველია, თუმცა სავარაუდოა ნარკოტრაფიკის მოქმედების გარკვეული შეფერხება.

ოპიატების ნარკოტრაფიკი ავღანეთიდან ხდება აღნიშნული დადგენილი მარშრუტებით და, ამასთან, ავღანეთში იმავე მარშრუტებით შედის ჰეროინის წარმოებისთვის საჭირო პრეკურსორები. ძმარმეკავს ანჰიდრიდი არის ჰეროინის წარმოების მთავარი პრეკურსორი და მისი გარკვეული ოდენობა ამოღებულ იქნა ENP-ის აღმოსავლეთ რეგიონში (IPFPEDM, 2022; Sydoruk, 2021).

გავრცელებული ინფორმაციით, რეგიონში ჰეროინის ნარკოტრაფიკის საქმეში ჩართული არიან სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები. ეს მოიცავს ადამიანებს ავღანეთიდან, გადატვირთვის პუნქტების ძირითადი ქვეყნებიდან, როგორებიცაა ირანი, თურქეთი და უკრაინა, და დანიშნულების ქვეყნებიდან.

ჰეროინის დიდი რაოდენობით ამოღება რეგულარულად ხდება რეგიონის მასშტაბით. 2021 წლის დასაწყისში უკრაინაში დაფიქსირდა 1,1 ტონა ჰეროინის

ფართომასშტაბიანი ამოღება (Courthouse News Service, 2021). საქართველოში ჰეროინის ამოღება ექვსჯერ გაიზარდა 2019-2020 წლებში, თუმცა მისი რაოდენობა რჩება დაბალი (6.3 კგ-დან დაახლოებით 40 კგ-მდე) (NDO, 2022). UNODC-ის მონაცემებით, აზერბაიჯანმა 2020 წელს ამოიღო დაახლოებით 2,3 ტონა ჰეროინი (UNODC, 2022a) და აღნიშნული მაჩვენებლით პირველი გახდა რეგიონში.

ამასთან, არსებობს მინიშნებები, რომ რეგიონში შემოდის ოპიოიდის აგონისტებით მკურნალობის პროგრამებიდან არალეგალურ ბრუნვაში გასული მეთადონი ირანიდან და ბუპრენორფინი, რომელიც შესაძლოა ანალოგიური გზით გადიოდეს ევროკავშირის ქვეყნების ჯანდაცვის სერვისებიდან (IPFPEDM, 2022; NDO, 2021). თუმცა, ამ პროცესის მასშტაბები უცნობია. როგორც უკვე აღვნიშნეთ,

სინთეზური ოპიოიდების ხელმისაწვდომობის შესახებ ცნობები ასევე უნდა განიხილებოდეს ქუჩის მეთადონის ხელმისაწვდომობის კონტექსტში, რომელიც, სავარაუდოდ, მზადდება უკრაინაში და ზოგჯერ ნარკოტრაფიკით ხვდება ბელარუსში, რუსეთსა და საქართველოში (IPFPEDM, 2022; Melnychuk, 2021). ასევე აღსანიშნავია, რომ კარფენტანილი (1 გ-ზე ნაკლები) საქართველოში პირველად 2019 წელს იქნა ამოღებული (NDO, 2021). ზოგადი დაკვირვება ამ სფეროში არსებულ მონაცემებზე არის ის, რომ საკმაოდ გაურკვეველია არალეგალურ ბაზარზე გამოჩენილი სინთეზური ოპიოიდების წყარო, შინაარსი, ფორმა და ამ პროცესის დროთა განმავლობაში პოტენციური ცვლილება. ამასთან, ნათელია, რომ ეს თემა საჭიროებს დამატებით შესწავლას.



უკრაინაში არალეგალურად მოხმარებადი ოპიოიდების შემცველი ფარმაცევტული წამლების წყაროები

EWSD უკრაინაში მოიცავდა სპეციალურ მოდულს, რომელიც დაკავშირებულია ოპიოიდების შემცველი ფარმაცევტული პრეპარატების მოხმარებასთან, როგორცაა მეთადონი. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა რაოდენობა იყო მცირე და არ წარმოადგენდა რომელიმე უფრო დიდ პოპულაციას, გამოკითხულთა ნაწილმა, რომლებიც აღნიშნავენ ამ ნივთიერებების მოხმარებას, ასევე მოგვარა დაამატებითი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად მოიპოვება ეს წამლები (61 რესპონდენტი) და როგორ ხდება მათი მიწოდება (58 რესპონდენტი). მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა ნარკოტიკის უშუალოდ დილერის მიერ მიწოდება (52%), 17%-მა აღნიშნა ამ მიზნით ციფრული ან ონლაინ ტექნოლოგიის რამე ფორმის გამოყენება (იხილეთ

სურათი ქვემოთ). ზოგიერთმა რესპონდენტმა მათგან, ვინც წყაროდ პასუხში აღნიშნა „სხვა“, განაცხადა, რომ ისინი ჩვეულებრივ ყიდულობენ ამ წამლებს აფთიაქებში, ექიმების ან ოპიოიდების აგონისტებით მკურნალობის სერვისების მეშვეობით.

რაც შეეხება ამ ნარკოტიკის მიწოდებას, რესპონდენტთა უდიდესი ნაწილი აღნიშნავს, რომ ხდება თავის წყაროს ან დილერს გარეთ (50%). ამავდროულად, 17%-მა აღნიშნა უკონტაქტო მიწოდების რამე ფორმა, ჩვეულებრივი საფოსტო მომსახურების გამოკლებით. ნაწილმა იმ რესპონდენტებისა, რომელთაც აირჩიეს ვარიანტი „სხვა“, განაცხადა, რომ ისინი ამ წამლებს იღებენ აფთიაქებში ან ოპიოიდების აგონისტებით მკურნალობის პუნქტებში.

უკრაინაში არალეგალურად მოხმარებადი ოპიოიდების შემცველი ფარმაცევტული წამლების (მაგ. მეთადონი) შესყიდვის წყარო



ნარკოტიკების შესახებ ევროპული ვებ-გამოკითხვის მონაცემებზე დაყრდნობით 61 რესპონდენტი ნარკოტიკული საშუალებების შესყიდვის წყაროს თემაზე და 58 რესპონდენტი მიწოდების თემაზე
 *ზოგიერთმა რესპონდენტმა, რომელმაც პასუხად აირჩია ვარიანტი „სხვა“, განაცხადა, რომ ისინი ამ პრეპარატებს აფთიაქებში ან ოპიოიდების აგონისტებით მკურნალობის პუნქტებში იღებენ.

საცალო ვაჭრობა

ოპიოიდების ფიზიკური და ონლაინ ბაზარი არსებობს რეგიონის ყველა ქვეყანაში (იხილეთ ჩანართი: [უკრაინაში არალეგალურად მოხმარებადი ოპიოიდების შემცველი ფარმაცევტული წამლების წყაროები](#)). საქართველოში და უკრაინაში ოპიოიდებს ძირითადად პერსონალური კონტაქტით ყიდულობენ, მაგრამ მათი მოპოვება ასევე შესაძლებელია ონლაინ (CRRC, 2020; IPFPEDM, 2022). მთავარმა ინფორმანტებმა აღნიშნეს, რომ უკრაინაში ქუჩის მეთადონის გასაღება, როგორც წესი, ორგანიზებული იყო კონკრეტულ ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფების მიერ უკრაინელებთან თანამშრომლობით. ბელარუსში მთავარმა ინფორმანტებმა განაცხადეს, რომ ოპიოიდების შესყიდვების დიდი ნაწილი, როგორც ჩანს, ონლაინ მიმდინარეობს.

ძირითადი ინფორმანტები ვარაუდობენ, რომ ქუჩის მეთადონისა და ოპიოიდების აგონისტებით მკურნალობიდან არალეგალურ ბრუნვაში გასული მედიკამენტების შეღარებით დაბალი ფასი, და, ამასთან,

ჰეროინის სისუფთავის დაბალი მაჩვენებელი, სინთეზური ოპიოიდების მიმართ ინტერესის მამოძრავებელი ფაქტორებია. მაგალითად, მოლდოვაში მთავარმა ინფორმანტებმა განაცხადეს, რომ 1 გრამი ჰეროინის საშუალო ფასი იყო 90 ევრო. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფაქტორები არ არის მარტივად შედარებადი, ბუპრენორფინის 1 ტაბლეტის ფასი (ბუპრენორფინის უცნობი შემცველობით) შეადგენდა 27-36 ევროს. 2019 წელს საქართველოში 1 გრამი ჰეროინის საშუალო ფასი შეადგენდა დაახლოებით 200 ევროს, ხოლო ბუპრენორფინის 1 ტაბლეტის (8 მგ) ფასი მერყეობდა 85-110 ევრომდე (NDO, 2021).

ხელმისაწვდომობა, მოხმარება და ზიანი


საერთო ჯამში, არსებული ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ რეგიონში ჰეროინი აღარ წარმოადგენს დომინანტურ ნივთიერებას, რომელსაც მოხმარენ ნარკოტიკების მაღალი რისკის მოხმარების პატერნების მქონე ადამიანები (Kurcevič and Lines, 2020; van der Gouwe, 2021). არსებული ცნობებით,

შპრიცში ნარჩენების ანალიზი მოლდოვასა და უკრაინაში

გამოყენებულ შპრიცებში ნარკოტიკების ნარჩენების ანალიზის კვლევა ახლახან განხორციელდა მოლდოვასა და უკრაინაში, შპრიცების შეგროვებისა და ანალიზის ევროპული საწარმოს (ESCAPE) (*) ქსელის მიერ დადგენილი პროტოკოლის შესაბამისად. ბალტიში, მოლდოვაში, 2021 წლის სექტემბრიდან ოქტომბრამდე 151 შპრიცი შეგროვდა სამი ობიექტიდან, რომლებსაც მართავს აივ პრევენციისა და ზიანის შემცირების არასამთავრობო ორგანიზაცია. სულ მცირე ერთი ფსიქოაქტიური ნივთიერება, რომელიც არ არის მიჩნეული გამსხნელად ან მეტაბოლიტად, გამოვლინდა ამ შპრიცებიდან 96-ში. უკრაინაში, 155 შპრიცი შეგროვდა ოდესაში, ნემსებისა და შპრიცების სამი მობილური და ერთი ადგილზე მომსახურების პროგრამით 2021 წლის აგვისტოდან ნოემბრამდე პერიოდში. ფსიქოაქტიური ნივთიერებები (არასასურველი მინარევების, მეტაბოლიტებისა და დეგრადაციის პროდუქტების გარდა) გამოვლინდა მხოლოდ 37 შპრიცში.

ბალტის ანალიზმა გამოაშკარავა, რომ მეთადონი იყო ნიმუშების თითქმის 46%-ში, რასაც მოსდევს ტრამადოლი (31%) და მეტამფეტამინი (19%) (იხილეთ სურათი). დიფენჰიდრამინი (*), არასასურველი მინარევი, გამოვლინდა შპრიცების 16%-ში, ხშირად მეთადონთან ერთად (11 შპრიცში). ოდესაში

მეთადონი აღმოჩნდა შპრიცების 93,5%-ში, ზოგჯერ დიფენჰიდრამინთან ერთად (4 შპრიცი). **შპრიცების (N = 96) განაწილება აღმოჩენილი ნარკოტიკების კატეგორიისა და ფსიქოაქტიური ნივთიერების მიხედვით (მეტაბოლიტების და არასასურველი მინარევების გამოკლებით), ბალტი, 2021 წლის სექტემბერი-ოქტომბერი**



* მათ შორის, ფსევდოეფედრინი (9%), იბუპროფენი, მეტოკლოპრამიდი, პრომეთაზინი (1%).

ა. პროექტი ESCAPE ცდილობს განავრცოს არსებული მონაცემები ნარკოტიკების მოხმარებელთა მიერ ინექციის გზით მიღებულ ნივთიერებებზე, გამოყენებული შპრიცების ნარჩენების შემცველობის ანალიზის შედეგად მიღებული დროული და ადგილობრივი ინფორმაციის მიწოდებით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: https://www.emcdda.europa.eu/topics/escape_en.

ბ. დიფენჰიდრამინი არის ანტიჰისტამინი, რომელიც მოქმედებს როგორც ინვერსიული აგონისტი ცენტრალურ ნერვულ სისტემაში H1 რეცეპტორებზე და იწვევს სედაციურ ეფექტს. მას შეიძლება ჰქონდეს სინერგიული დამთრგუნველი ეფექტი ოპიოიდებთან ერთად გამოყენებისას.

სავარაუდოა, რომ რეგიონში ინექციის გზით მოხმარებადი ნარკოტიკების ფართო სპექტრია და აღნიშნულ ვარაუდს ამყარებს მოლდოვისა და უკრაინის აღმოსავლეთი (იხილეთ ჩანართი: [მპრიცმი ნარჩენების ანალიზი მოლდოვასა და უკრაინაში](#)). ძირითადი ინფორმანტების ცნობით, ჰეროინის მოხმარების შემცირების პარალელურად, გაიზარდა სხვა ოპიოიდების მოხმარება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს შესაძლოა დაკავშირებული იყოს ჰეროინის მაღალ ფასთან და დაბალ სისუფთავის მარკეტებთან (IPFPEDM, 2022; van der Gouwe, 2021). ძირითადი ინფორმანტების თქმით, ზოგიერთი მოხმარებელი ჰეროინიდან გადაერთო უფრო იაფ ან უფრო ძლიერ ნივთიერებებზე, მათ შორის, სინთეზურ ოპიოიდებზე, მეტამფეტამინზე ან აფნ-ზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნარკოტიკების ინექციის გზით მოხმარება, განსაკუთრებით ოპიოიდების და სტიმულატორების, და ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინფექციური დაავადებების გადაცემა წარმოადგენდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მთავარ გამოწვევას რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის, აზერბაიჯანში, ბელარუსში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში (იხილეთ ჩანართი: [ნარკოტიკების ინექციის გზით მოხმარება და ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინფექციური დაავადებები](#))

მიუხედავად იმისა, რომ ჰეროინის მოხმარება შემცირდა, ე.წ. „ყალბი“, მკურნალობის პროგრამებიდან არალეგალურ ბრუნვაში გასული ან არალეგალური ოპიოიდების გამოყენება, როგორცაა ქუჩის მეთადონი⁽⁹⁾, ფართოდ აღინიშნება მთელ რეგიონში, განსაკუთრებით ბელარუსში, მოლდოვასა და უკრაინაში (IPFPEDM, 2022; NDO, 2021). კერძოდ, ქუჩის მეთადონი იკავებს ჰეროინისა და სხვა კუსტარულად წარმოებული ოპიოიდების (მაგ. ოპიუმის ექსტრაქტები და პროდუქტები, შირკა, მაკი) ადგილს ბაზარზე (Otiashvili, 2020) და ახლა ამ ქვეყნების ოპიოიდების ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ეს მნიშვნელოვანი ცვლილებაა დაახლოებით ათი წლის წინანდელ ვითარებასთან შედარებით, როდესაც კუსტარულად დამზადებული ოპიოიდები არალეგალური ოპიოიდების ბაზრის მნიშვნელოვან წილს იკავებდა (Otiashvili, 2020).

საერთო ჯამში, მთავარმა ინფორმანტებმა განაცხადეს, რომ რეგიონში ქუჩის მეთადონის მოხმარების ზრდა დაკავშირებულია COVID-19 პანდემიასთან. გამონაკლისი შეიძლება იყოს უკრაინა, სადაც ქუჩის მეთადონის მოპოვება გართულდა და, ამასთან, პანდემიის ადრეულ ეტაპზე გაიზარდა ფასებიც. შედეგად, ზოგიერთი ადამიანი მეთადონის დანიშნულებას კერძო ექიმებისგან იღებდა და ყიდულობდა მას აფთიაქებში პირადი მოხმარებისთვის ან შემდგომში არალეგალურ ბაზარზე გასაყიდად (Dumchev და სხვ., 2021). EMCDDA-ს ანალიზით დადგინდა,

რომ უკრაინაში არ დაფიქსირებულა ქუჩის მეთადონის მოხმარების ზრდა პანდემიის ადრეულ ეტაპებზე, 2020 წლის აპრილიდან ივნისამდე (EMCDDA, 2021a).

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ქუჩის მეთადონის გამოყენება ნაკლებად გავრცელებულია და გაცილებით იშვიათია, ვიდრე ბელარუსში, მოლდოვასა და უკრაინაში. ასევე, კვლავ აქვს ადგილი ტრადიციული ოპიოიდების (მაგ. ოპიუმის და ჰეროინის) მოხმარებას, მათ შორის კუსტარულად დამზადებული ოპიოიდებისაც (მაგ. შირკა და მაკი). ცნობილია, რომ ოპიუმის ფასი შედარებით დაბალია და მისი მოხმარების დონე სამხრეთ კავკასიაში მეტ - ნაკლებად უცვლელია.

არსებული მონაცემებით, სავარაუდოა, რომ დღემდე ისეთი სინთეზური ოპიოიდების მოხმარება და ხელმისაწვდომობა, როგორებიცაა ფენტანილი და კარფენტანილი, ძალიან დაბალია. ამ ნივთიერებების ამოღების მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაა დაფიქსირებული ბელარუსში, საქართველოსა (NDO, 2021) და უკრაინაში (IPFPEDM, 2022).

2020 წელს ბელარუსში დაფიქსირებულ ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიკვდილიანობის საერთო ზრდა დაკავშირებულია ნივთიერებათა პოლიმოხმარებასთან და არალეგალურად წარმოებულ მეთადონთან (UNODC, 2022b). 2020 წელს უკრაინაში აღინიშნებოდა გვამის გაკვეთის შემდგომ ოპიოიდების, უპირატესად კი ფარმაცევტული ოპიოიდების, აღმოჩენის შემთხვევათა ზრდა (IPFPEDM, 2022). ასევე არსებობს ვარაუდი, რომ ბელარუსში ქუჩის მეთადონი ზოგჯერ შეიძლება იყოს დაბინძურებული ფენტანილით, მისი ხარისხის გაზრდის მიზნით. ძირითადი ინფორმანტების თქმით, აღნიშნული ქმედება ოთხი წლის განმავლობაში ზედოზირების მატებაში აისახა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზითა და ტოქსიკოლოგიური ანალიზითაც დასტურდება.

ცნობილია, რომ დეზომორფინი ხანდახან ხელმისაწვდომია, თუმცა შეზღუდული რაოდენობით. მისი მოხმარება ძირითადად დაკავშირებულია სოციალურად გარიყულ ჯგუფებთან და ღარიბ ტერიტორიებთან⁽⁹⁾. COVID-19-ის პანდემიის დასაწყისში, როდესაც საზღვრები დაიხურა, დეზომორფინის მოხმარება და წარმოება დაფიქსირდა სომხეთსა და აზერბაიჯანში. ძირითადი ინფორმანტების თქმით, ეს დაკავშირებული იყო ნივთიერების დაბალ ფასთან და მის შედარებით მარტივ, სახლის პირობებში წარმოებასთან.

⁽⁹⁾ უცნობია უკანონო წარმოებისა აღნიშნული მეთადონი, თუ ოპიოიდებით მკურნალობის პროგრამებიდან არაკანონიერ ბრუნვაში გასული


⁽⁹⁾ დეზომორფინი (ადგილობრივი სახელწოდებით „ნიანგი“) არის საერთაშორისო კონტროლირებადი ნახევრად სინთეზური სწრაფი მოქმედების ოპიოიდი. ის არის ოპიოიდური ანალოგი, რომელსაც უკანონოდ ამზადებენ კოლდინისა და სხვა ინგრედიენტების შემცველი ტაბლეტებისგან (Gahr და სხვ., 2012). რეგიონი 2010-2015 წლებში დეზომორფინის ეპიდემიის მომსწრე იყო, მაგრამ მას შემდეგ მისი გამოყენება, როგორც ჩანს, შემცირდა (Otiashvili, 2020).

ნარკოტიკების ინექციის გზით მოხმარება და ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინფექციური დაავადებები

ENP-ის აღმოსავლეთ რეგიონში ბევრ ნარკოტიკს მოიხმარენ ინექციის გზით, განსაკუთრებით, სტიმულატორებსა და ოპიოიდებს. ნარკოტიკების ინექციის გზით მოხმარება კვლავაც დიდ გამოწვევად რჩება. არსებული სტატისტიკით, საქართველოში 100 ზრდასრულიდან დაახლოებით 2 მოიხმარს ნარკოტიკებს ინექციის გზით, რაც ქვეყანას ათავსებს მსოფლიოს პირველ ქვეყნებს შორის ნარკოტიკების ინექციის გზით მოხმარების გავრცელების თვალსაზრისით (Beselia და სხვ., 2019a). ნარკოტიკების ინექციის გზით მოხმარების მასშტაბი კვლავ შემამოფოთებელია აზერბაიჯანში, ბელარუსში, მოლდოვასა და უკრაინაში (იხილეთ სურათები; Degenhardt და სხვ., 2017; UNODC, 2022b). აივ ინფექციის გავრცელება ადამიანებს შორის, რომლებიც ნარკოტიკებს ინექციით მოიხმარენ, ფართოდ განსხვავდება რეგიონში: სომხეთსა და საქართველოში 1.9-2.3%, ხოლო ბელარუსსა და უკრაინაში - 22.7%-მდე და 20.3%-მდე (იხილეთ სურათი ქვემოთ; UNODC, 2022b). კვლევებმა აჩვენა, რომ კუსტარულად წარმოებული ნარკოტიკების ფართო მოხმარებამ, სტიმულატორების მოხმარებლების მიერ ინექციის გზით მოხმარების მაღალმა სიხშირემ და ნარკოტიკების პოლიმოხმარებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს აივ-ის გადაცემის ამაღლებულ რისკს იმ ადამიანებში, რომლებიც ინექციის გზით მოიხმარენ ნარკოტიკებს (LaMonaca და სხვ., 2019). გარდა ამისა, დაფიქსირებული აივ ინფექციის მაჩვენებლები არაპროპორციულად მაღალია პატიმართა პოპულაციაში რეგიონის ბევრ ქვეყანაში (Azbel, 2019).


მიუხედავად იმისა, რომ ეს რეკომენდაცია კვლევის ფარგლებს სცდება, ნარკოტიკებთან დაკავშირებულ ზიანზე რეაგირება მოითხოვს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ინტერვენციებს და მკურნალობის სერვისებს. საჭიროა შემდგომი მონიტორინგი და მხარდაჭერა რეგიონის მასშტაბით მტკიცებულებებზე დაფუძნებული მკურნალობისა და ზიანის შემცირების სერვისების მოცვისა და უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად.

C ჰეპატიტის, B ჰეპატიტისა და აივ ინფექციის გავრცელება ნარკოტიკების ინექციით მოხმარებელთა შორის ENP-ის აღმოსავლეთ რეგიონში




მონაცემთა წყარო: UNODC - HIV, HCV, HBV ვირუსით მცხოვრებ ადამიანებში ინექციის გზით მოხმარების შეფასება (2022).

ნარკოტიკების ინექციის გზით მოხმარების გავრცელება 15-დან 64 წლამდე მოსახლეობაში ENP-ის აღმოსავლეთ რეგიონში



მონაცემთა წყარო: UNODC - HIV, HCV, HBV ვირუსით მცხოვრებ ადამიანებში ინექციის გზით მოხმარების შეფასება (2022).

ENP-ის აღმოსავლეთ რეგიონში ნარკოტიკების ინექციით მოხმარებელთა სავარაუდო რაოდენობა



მონაცემთა წყარო: UNODC - აივ, HCV, HBV ვირუსით მცხოვრებ ადამიანებში ინექციის გზით მოხმარების შეფასება (2022).

ამფეტამინი და MDMA

რეგიონში ხელმისაწვდომია ამფეტამინი (ფხვნილი და ტაბლეტები) და MDMA (ფხვნილი/კრისტალები და ექსტაზის ტაბლეტები). თუმცა, ამ ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინფორმაციის ინტერპრეტაციისას საჭიროა სიფრთხილე, რადგან პროფესიონალები ზოგჯერ იყენებენ სიტყვა „ამფეტამინს“, როგორც მრავლისმომცველ ტერმინს, რომელშიც შეიძლება იგულისხმებოდეს მეტამფეტამინი, ხოლო MDMA კი ზოგჯერ განიხილება აფნ-ად. გარდა ამისა, ზოგიერთი აფნ შეიძლება შეცდომით იყოს აღქმული ამფეტამინად, მეტამფეტამინად ან MDMA-დ. საჭიროა შემდგომი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და, ამასთან, ნარკოტიკის სხვადასხვა სახეობის აღმნიშვნელი ტერმინების ერთობლივად გამარტივება.

წარმოება

საერთო ჯამში, რეგიონში ფიქსირდება ამფეტამინის ადგილობრივად წარმოება. ამასთან, უკრაინა ბოლო შვიდი წლის განმავლობაში გახდა ამფეტამინის მწარმოებელი როგორც შიდა გამოყენებისთვის, ისე მეზობელ ქვეყნებში ნარკოტრაფიკისთვის (მაგ. მოლდოვა, პოლონეთი და რუსეთი). უკრაინაში ასევე დაფიქსირდა MDMA-ს წარმოება; მისი მასშტაბი ამჟამად უცნობია, თუმცა ვარაუდობენ, რომ არ ხდება ფართომასშტაბიანი წარმოება (IPFPEDM, 2022).

ცნობილია, რომ უკრაინაში არსებობს როგორც მცირე ზომის „სამზარეულოს ტიპის ლაბორატორიები“, ისე უფრო ფართომასშტაბიანი ამფეტამინის წარმოების ობიექტები. მიიჩნევენ, რომ შედარებით ფართომასშტაბიან ობიექტებში იყენებენ პოლდინგ-კომპანიების მიერ იმპორტით შემოტანილ ნარკოტიკების პრეკურსორებს. კერძოდ, ბოლო დროს ამოიღეს ნიტროეთანი, რომელიც განკუთვნილია ამფეტამინის შიდა წარმოებისთვის (IPFPEDM, 2022; Sydoruk, 2021). სამართალდამცავი ორგანოების მთავარმა ინფორმანტებმა განაცხადეს, რომ ამფეტამინის წარმოება შედარებით უცვლელი დარჩა უკრაინაში მას შემდეგ, რაც დაიწყო მონიტორინგი. თუმცა, მთავრობის ბოლო ანგარიშებში აღნიშნულია ამფეტამინის წარმოების შესაძლო შემცირება და ტენდენციის სხვა სინთეზურ ნარკოტიკებზე გადასვლა (IPFPEDM, 2022). მიუხედავად ამისა, UNODC-მ აღნიშნა, რომ 2019 წელს უკრაინაში დემონტაჟს დაქვემდებარებული ამფეტამინის ლაბორატორიების რაოდენობა იყო 17, ხოლო 2020 წელს ეს მაჩვენებელი 79-მდე გაიზარდა, რაც წლის მანძილზე ყველა ქვეყანას შორის უმაღლესი მაჩვენებელი იყო, თუმცა ლაბორატორიები სავარაუდოდ მცირე მასშტაბის იყო (UNODC, 2022b).

ძირითადი ინფორმანტები სომხეთსა და აზერბაიჯანში აღნიშნავენ ბოლო წლებში დაბალი ხარისხის ამფეტამინის მცირემასშტაბიან წარმოებას, თუმცა ოფიციალური ან სხვა სახის მონაცემები ამ ვარაუდის მხარდასაჭერად არ არსებობს.

ნარკოტრაფიკი

მართალია ENP-ის აღმოსავლეთ ქვეყნებში შესაძლოა ხდებოდეს ამფეტამინისა და MDMA-ს შიდა წარმოება, თუმცა აღნიშნული ნარკოტიკები რეგიონში ხვდება ძირითადად სხვა ქვეყნებიდან ნარკოტრაფიკით (სურათი 6).

ბოლო წლებში უკრაინამ ასევე გამოავლინა კაპტაგონის ტაბლეტების ნარკოტრაფიკის შემთხვევები, რომლებიც სავარაუდოდ წარმოებული და შემოტანილი იყო ლიბანიდან ან სირიიდან. კაპტაგონის⁽¹⁰⁾ ტაბლეტები ჩვეულებრივ შეიცავს ამფეტამინს, თუმცა შემადგენლობა შეიძლება იყოს ცვალებადი (EMCDDA, 2018). 2020 წლის სექტემბერში გავრცელდა ინფორმაცია უკრაინის პივდენის პორტში შესული კაპტაგონის ტაბლეტების დიდი რაოდენობით ამოღების შესახებ შავი ზღვის მოსაზღვრე ოდესის ოლქში. კონტეინერში ტკბილეულით დაფარული ტაბლეტების 750 კილოგრამიანი პარტიის წყარო იყო „ხმელთაშუა ზღვის აუზის“ ქვეყანა (Ukrinform, 2021). ნარკოტიკის პარტია უკრაინაში ხელახლა იქნა შეფუთული და დამალული ორ კონტეინერში. როგორც ჩანს, ის განკუთვნილი იყო ოდესის პორტიდან სპარსეთის ყურეში შემდგომი ექსპორტისთვის. თუმცა, UNODC-ს აღნიშნული ფაქტი არ აცნობებს, როგორც ამფეტამინის ამოღების შემთხვევა (იხილეთ [დანართი](#)). მსგავსი ექსპორტის შემთხვევები დაფიქსირდა ევროკავშირში ბოლო წლებში.

მოლდოვასა და უკრაინაში, ევროპის უმეტეს ქვეყნებთან ერთად, MDMA ძირითადად ევროკავშირიდან ნარკოტრაფიკით ხვდება (IPFPEDM, 2022). მაგალითად, რეგიონში ამოღებული MDMA-ს წარმოების ადგილად მიიჩნევენ არალეგალურ ლაბორატორიებს ნიდერლანდებში, საიდანაც ის გადის გერმანიისა და პოლონეთის გავლით

⁽¹⁰⁾ თავდაპირველად, კაპტაგონი იყო აქტიური ინგრედიენტი ფენეტილინის შემცველი სამკურნალო პროდუქტის მთავარი ბრენდი. ის დღეს ადარ მზადდება და არც სამკურნალო მიზნებისთვის გამოიყენება. წინამდებარე ანგარიშში ტერმინი „კაპტაგონი“ გამოიყენება უკანონოდ წარმოებული ტაბლეტების აღსანიშნად, რომლებიც აღწერილია როგორც კაპტაგონი და არა თავდაპირველი ფარმაცევტული პროდუქტის კონტექსტში.

სურათი 6

MDMA-ს და კაპტამინის ნარკოტრაფიკის მთავარი მარშრუტები ENP-ის აღმოსავლეთ ქვეყნებში



საცალო ვაჭრობა

ცოტა რამ არის ცნობილი რეგიონში ამფეტამინისა და MDMA-ს საცალო ვაჭრობის შესახებ. როგორც ჩანს, ამ ნარკოტიკული საშალებების გასაღება და შეძენა ხდება როგორც ტრადიციული გზებით, ასევე ონლაინ. ამჟამად დახურულ ბაზარ Hydra-ზე ყველაზე ხშირად გაყიდული ნარკოტიკების სიაში ამფეტამინი და MDMA უფრო ქვემოთ იყო, ვიდრე კანაფი, მეფედრონი და ალფა-პჰპ.

მწირია ინფორმაცია წამლების ფასებზეც. საქართველოში EWSD რესპონდენტთა მონაცემები მიუთითებს, რომ 1 ექსტაზის ტაბლეტის საშუალო ფასი არის 26 ევრო, ხოლო 1 გრამი MDMA-ს ფხვნილის/კრისტალების კი 65.8 ევრო (EWSD, 2021a). ამფეტამინის 1 ტაბლეტის საშუალო ფასი 15 ევროა, 1 გრამი ფხვნილის კი საშუალოდ 61,7 ევროს შეადგენს. უკრაინაში EWSD რესპონდენტთა მონაცემებით, 1 ტაბლეტი ექსტაზის საშუალო ფასი 11,4 ევროა, ხოლო 1 გრამი MDMA-ს ფხვნილის/კრისტალების - 33,2 ევრო. უკრაინის ხელისუფლების ცნობით, 1 გრამი ამფეტამინი

2020 წელს ღირდა 3,6-39 ევრო (IPFPEDM, 2022). უკრაინაში EWSD რესპონდენტებზე დაყრდნობით, 2021 წელს 1 ტაბლეტისა და 1 გრამი ამფეტამინის საშუალო ფასი იყო 6.4 ევრო და 12.5 ევრო (EWSD, 2021b).

მოხმარება და ზიანი

რეგიონის მასშტაბით, ამფეტამინს და MDMA-ს, როგორც ჩანს, მოიხმარენ ახალგაზრდები რეკრეაციულ გარემოში. ძირითადი ინფორმანტების თანახმად, მხოლოდ ბელარუსში აღინიშნება ამფეტამინისა და MDMA-ს მცირე ხელმისაწვდომობა და მოხმარება. ამასობაში, სომხეთსა და უკრაინაში ბოლო წლებში იზრდება ორივე ნივთიერების მოხმარება (იხილეთ ჩანართი: [სომხეთის მზარდი დამის ცხოვრების კულტურა](#)). უკრაინაში ამფეტამინს დიდი ხანია მოიხმარენ და ის კვლავ წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სტიმულატორს ქვეყანაში.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინფორმაციის განზოგადება არ შეიძლება უფრო დიდ პოპულაციებზე, უკრაინაში EWSD-ზე გამოკითხულთა 51%-მა აღნიშნა ამფეტამინის მოხმარება გასულ წელს (866 რესპონდენტიდან) (EWSD, 2021b). ამავდროულად, უკრაინაში EWSD რესპონდენტთა 59%-მა განაცხადა, რომ მოიხმარა MDMA/ექსტაზი ბოლო 12 თვის განმავლობაში. ESPAD-ის უახლესი გამოკითხვის დამატებითი მონაცემები 15-16 წლის უკრაინელ სტუდენტებს შორის აჩვენებს, რომ გამოკითხულთა 1.4%-ს ცნობით, მათ ცხოვრების მანძილზე მოიხმარეს ამფეტამინი, MDMA-ის 1.1%-თან შედარებით (ESPAD, 2020). უკრაინაში ახლახან ჩატარებულმა ნარკოტიკების შემოწმების პილოტირების პროგრამამ ასევე მიანიშნებს ქვეყანაში MDMA-სა და ამფეტამინის არსებობაზე და მის პოპულარობაზე ღამის ცხოვრების კულტურაში (Kushakov, 2021).

EWSD-ს საქართველოს მონაცემებით, რესპონდენტთა 23%-მა განაცხადა, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში მოიხმარა ამფეტამინი, ხოლო 55%-მა - MDMA/ექსტაზი (მონაცემები 396 რესპონდენტისგან შემდგარი ჯგუფიდან) (EWSD, 2021a). ESPAD-ის უახლეს კვლევაზე დაყრდნობით, საქართველოში მოსწავლეების 1%-ს ცხოვრების მანძილზე გაუსინჯავს ამფეტამინი, ხოლო 2.2% ს - MDMA (ESPAD, 2020).

სომხეთის მზარდი ღამის ცხოვრების კულტურა

ბოლო წლებში სომხეთში იზრდება ფესტივალებისა და ღამის ცხოვრების კულტურა. ძირითადი ინფორმანტები აღნიშნავენ, რომ ქვეყანაში ბოლო დროს ქიმსექსსაც აქვს ადგილი. პარალელურად, გაფართოვდა ონლაინ ნარკობაზარი, რამაც, ძირითადი ინფორმანტების ვარაუდით, ხელი შეუწყო სინთეზურ ნარკოტიკებზე წვდომას. ძირითადი ინფორმანტების თქმით, ამ მოვლენებს ახალგაზრდებში MDMA-ს, ამფეტამინისა და აფნ-ს მოხმარების შესამჩნევი ზრდა მოჰყვა. უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცე ემპირიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი ძირითადი ინფორმანტების ამ მოსაზრებების დასასაბუთებლად.

მეტამფეტამინი

რეგიონის სამომხმარებლო ბაზარზე ხელმისაწვდომია მეტამფეტამინის რამდენიმე სახეობა, მათ შორის, კუსტარულად დამზადებული პროდუქტები, რომლებსაც უწოდებენ ადგილობრივ დასახელებებს, როგორებიცაა “ვინტი” და “წიწვის (ეფედრას) ვინტი”. შეიძლება მეტამფეტამინის ნარკოტრაფიკი ხორციელდებოდეს მეზობელი ქვეყნებიდანაც (სურათი 7).

ვინტი არის მეტამფეტამინის ინექციის გზით მოხმარებადი ფორმა, რომელიც მზადდება ეფედრინისა და ფსევდოეფედრინის შემცველი მედიკამენტებისგან, ხოლო წიწვის ვინტი არის მეტამფეტამინი, რომელიც მზადდება საქართველოში მოყვანილი ეფედრინის შემცველი მცენარისგან (სავარაუდოდ, *Ephedra vulgaris*). წიწვის ვინტის დამზადების პროცესი სავარაუდოდ წააგავს ვინტის წარმოებას: იგი მოიცავს რამდენიმე ქიმიურ პრეკურსორს და საბოლოო პროდუქტი ასევე ინექციის გზით მოხმარებადი (Otiashvili და სხვ., 2017).


წარმოება

როგორც ჩანს, ორგანიზებული კრიმინალური ქსელები გარკვეულ როლს თამაშობენ მეტამფეტამინის წარმოებაში რეგიონის ზოგიერთ ქვეყანაში. მათ შორისაა აზერბაიჯანი, სადაც მეტამფეტამინის წარმოება გაიზარდა 2018 წლიდან (იხილეთ ჩანართი: [მეტამფეტამინის მოხმარება და წარმოება აზერბაიჯანში](#)). უკრაინაში ასევე დაფიქსირდა მცირე რაოდენობის მეტამფეტამინის ლაბორატორიების დემონტაჟი 2020 წელს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ წარმოება არსებობდა ქვეყანაში, სულ მცირე, გარკვეულწილად.

მცირე მასშტაბით და სახლის პირობებში, მეტამფეტამინს ამზადებენ თავად მოხმარებლებიც პირადი მოხმარებისა და სავაჭრო ვაჭრობისთვის. მათ შორისაა მეტამფეტამინის ორი ძირითადი კუსტარული პროდუქტი, რომლებიც მზადდება და იყიდება რეგიონში, ესენია ვინტი და წიწვის

სურათი 7

მეტამფეტამინის ნარკოტრაფიკის მთავარი მარშრუტები ENP-ის აღმოსავლეთ ქვეყნებში



სურათი 8

ეფედრას ბუჩქები ქალაქის შემოგარენში, თბილისი



წყარო: ალტერნატივა ჯორჯია, თბილისი, საქართველო

ვინტი. ამჟამად არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს ორგანიზებული კრიმინალური ქსელების მნიშვნელოვან ჩართულობაზე ამ სახის პროდუქტებთან მიმართებით და კომენტარის გაკეთება მის პოტენციურ მასშტაბებზე შეუძლებელია. ვინტი არის მეტამფეტამინის ფორმა, რომელიც მზადდება ეფედრინისა და ფსევდოეფედრინის შემცველი მედიკამენტებიდან და წლების მანძილზე ხდება მათი მცირე მასშტაბით წარმოება სამხრეთ კავკასიის ადგილობრივი ბაზრისთვის. სომხეთსა და აზერბაიჯანში მთავარმა ინფორმანტებმა აღნიშნეს, რომ ვინტის წარმოება დაახლოებით ხუთი წლის წინ საკმაოდ ხშირი იყო. თუმცა, მეტამფეტამინის სხვა წყაროების, მათ შორის, კრისტალური მეტამფეტამინის გამოჩენით,

ვინტის ადგილობრივი წარმოება, როგორც ჩანს, შემცირდა. ამავდროულად, საქართველოში 2015 წლიდან დაფიქსირდა კუსტარული წიწვის ვინტის წარმოებისა და მოხმარების ტენდენცია. წიწვის ვინტი მზადდება ეფედრას მცენარისგან (იხ. სურათი 8), როგორც ჩანს, ავღანეთში გავრცელებული მსგავსი პროცესების გამოყენებით, სადაც დამკვიდრდა ეფედრას მცენარეული მეტამფეტამინის წარმოება (იხ. ჩანართი: მეტამფეტამინი ავღანეთიდან; EMCDDA and Europol, 2022b; UNODC, 2021a).

მეტამფეტამინის მოხმარება და წარმოება აზერბაიჯანში

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აზერბაიჯანში თავი იჩინა მეტამფეტამინის მოხმარებამ. ცნობილია, რომ ნარკოტიკი ქვეყანაში ხელმისაწვდომია და მას მოიხმარენ როგორც ახალგაზრდები რეკრეაციულ გარემოში, ისე მაღალი რისკის ან ქრონიკული და გრძელვადიანი ნარკოტიკების მოხმარების პატერნების მქონე პირები. ამ უკანასკნელ ჯგუფს შორის მეტამფეტამინის მოხმარება შეიძლება შერწყმული იყოს ოპიოიდების მოხმარებასთანაც. არსებულ ცნობებზე დაყრდნობით, სავარაუდოა, რომ მეტამფეტამინისა და ოპიოიდების კომბინაციაში მოხმარებამ გამოიწვია აზერბაიჯანში ზედოზირებით სიკვდილიანობის ზრდა ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში. თუმცა, ოფიციალური მონაცემები

მწირია ზედოზირების შემთხვევების არასაკმარისი აღრიცხვის გამო, შესაბამისად, ძნელია ამ ვარაუდის დასაბუთება.

მეტამფეტამინის მოხმარების აღნიშნული ზრდის ხელშემწყობი ფაქტორი შეიძლება იყოს მეტამფეტამინის შიდა წარმოების ზრდა. ძირითადი ინფორმანტების თქმით, მეტამფეტამინის მწარმოებლებმა ირანიდან ჩამოიტანეს შიდა ლაბორატორიების მოწყობისთვის საჭირო აღჭურვილობა და აითვისეს შესაბამისი უნარები, რაც მიუთითებს წარმოების ცოდნის შესაძლო გავრცელებაზე რეგიონში. ამას შეიძლება მოჰყვეს უარყოფითი გრძელვადიანი შედეგები.

მეტამფეტამინი ავღანეთიდან

ეფედრას მცენარის ექსტრაქციაზე დაფუძნებული მეტამფეტამინის პოტენციურად ფართომასშტაბიანი წარმოება ავღანეთში აღინიშნა EMCDDA-ს რამდენიმე უკანასკნელ ანგარიშში, მათ შორის, 2022 წლის ევროკავშირის ნარკოტიკების ბაზრის ანალიზში მეტამფეტამინზე (EMCDDA, 2020b; EMCDDA, 2021b; EMCDDA and Europol, 2022b). დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ავღანური წარმოშობის მეტამფეტამინის დიდი პარტია კონტრაბანდის სახით იქნა გადატანილი ჰეროინის ნარკოტრაფიკის არსებული გზებით. ეს არის პოტენციური რისკი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის, რომლებზეც ნარკოტრაფიკის აღნიშნული მარშრუტები ახდენს გავლენას.

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასიის არც ერთ ძირითად ინფორმანტს არ აღუნიშნავს ავღანური წარმოშობის მეტამფეტამინის არსებობა მათ ქვეყნებში, არაერთი ცნობა არსებობს აღნიშნული ნარკოტიკის ირანიდან ნარკოტრაფიკის შესახებ და ის შეიძლება იყოს ავღანური წარმოშობის. მართლაც, UNODC-ის (2022b) მიხედვით, 2019 წლის იანვრიდან 2021 წლის სექტემბრამდე აზერბაიჯანში დაფიქსირდა ავღანეთთან დაკავშირებული მეტამფეტამინის რამდენიმე ამოღება. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზით შესაძლებელია ამოღებული მეტამფეტამინის წარმოების მეთოდების და პოტენციურად წარმოშობის დადგენაც. თუმცა, ამოღებული ნარკოტიკების სისტემატური ტესტირება მათი წარმოშობის დასადგენად სამხრეთ კავკასიაში ამჟამად არ მიმდინარეობს.

ნარკოტრაფიკი

არსებობს მინიშნებები, რომ ირანული ან ავღანური წარმოშობის მეტამფეტამინის გარკვეული რაოდენობა ირანიდან შედის სამხრეთ კავკასიაში, ბელარუსში, მოლდოვასა და უკრაინაში, ან ალტერნატიულად ევროკავშირში მდებარე წარმოების ობიექტებიდან (მაგ. ნიდერლანდები და ჩეხეთი). თუმცა, ასევე არის გარკვეული მინიშნებები, რომ მეტამფეტამინი რეგიონიდან კონტრაბანდის სახით გადის მეზობელ სამომხმარებლო ბაზარზე. მაგალითად, სლოვაკეთის ეროვნული საკონტაქტო პირის (Natioan Focal point) განაცხადებით, 2020 წელს დაფიქსირდა მეტამფეტამინის ტრეფიკინგის რამდენიმე შემთხვევა, სადაც ნარკოტიკი ამოიღეს უკრაინიდან სლოვაკეთში ნარკოტრაფიკით გადატანის დროს.

საცალო ვაჭრობა

რეგიონში მეტამფეტამინის საცალო ბაზრის შესახებ ინფორმაცია მწირია. არსებული ცნობები კი მიუთითებს როგორც ონლაინ, ისე ქუჩის დონის ბაზრის არსებობაზე. ვინტს და წიწვის ვინტს, სავარაუდოდ, ხშირად ასაღებენ ის ადამიანები, რომლებიც თავად მოიხმარენ და ამზადებენ ამ ნივთიერებებს. რადგან ისინი ძირითადად კუსტარულია, აღნიშნული ნარკოტიკები ძირითადად ქუჩის გაყიდვების დონეზე საღდება.

კრისტალური მეტამფეტამინი იყიდება როგორც ფიზიკურ, ისე ონლაინ ნარკობაზარზე. 2019 წელს EMCDDA-ს ნარკოტიკების გაყიდვების ანალიზმა აჩვენა, რომ სომხეთსა და უკრაინაში მოვაჭრეები აქტიურად ათავსებდნენ მეტამფეტამინს დარქნეტში .

მთლიანობაში, არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, სავარაუდოა, რომ რეგიონის ბაზარზე ხელმისაწვდომი მეტამფეტამინი განსხვავებული ხარისხისაა, გამოყენებული წარმოების მეთოდისა და წყაროს ქვეყნიდან გამომდინარე. არსებული თვალსაზრისით, მეზობელი ქვეყნებიდან, როგორებიცაა ირანი და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ნარკოტრაფიკით შემოსული მეტამფეტამინი გამოირჩევა ზოგადად უფრო მაღალი სისუფთავით, ვიდრე შიდა წარმოების ვინტი ან წიწვის ვინტი.

ხელმისაწვდომობა, მოხმარება და ზიანი

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში მეტამფეტამინის მოხმარების გავრცელებაზე სანდო მონაცემები არ არსებობს, მთავარმა ინფორმანტებმა განაცხადეს, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთში გაიზარდა კრისტალური მეტამფეტამინის მოხმარება და შემცირდა ვინტის მოხმარება. კრისტალური მეტამფეტამინის მოხმარების გაზრდის ხელშემწყობი ფაქტორი, როგორც ჩანს, არის ის, რომ პრეპარატი შედარებით იაფი და ფართოდ ხელმისაწვდომია. ამავდროულად, ქართველი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 2015 წლიდან წიწვის ვინტის მზარდი მოხმარების ტენდენციაა.

კრისტალური მეტამფეტამინის მოხმარება ფიქსირდება მოლდოვასა და უკრაინაშიც, თუმცა უფრო დაბალი დონით, ვიდრე სამხრეთ კავკასიაში. ბელარუსში, მოლდოვასა და უკრაინაში ვინტის მოხმარება იშვიათია.

მეტამფეტამინის მოიხმარენ როგორც ნივთიერებების მაღალი რისკის მოხმარების პატერნების მქონე ადამიანები, ისე ახალგაზრდებიც რეკრეაციულ გარემოში.

ნარკოტიკების მაღალი რისკის მოხმარების პატერნების მქონე პირები ხშირად ინექციით იღებენ მეტამფეტამინს, ხოლო რეკრეაციული გამოყენების პატერნები უფრო ხშირად გულისხმობს ნარკოტიკის მოწევას ან შეყნოსვას (ჩიბუხის ან ფოლგის გამოყენებით). ძირითადი ინფორმანტები ასევე აღნიშნავენ, რომ მეტამფეტამინი სულ უფრო ხშირად გამოიყენება ლგბტიქ საზოგადოებაში, რაც ზოგჯერ ასოცირდება ქიმსექსის პრაქტიკასთან. ქიმსექსი წარმოადგენს მეტამფეტამინის მოხმარებასთან დაკავშირებულ განსაკუთრებით მაღალი რისკის ქცევას, რადგან ნარკოტიკების მიღების ინტენსიური ეპიზოდები შეიძლება მოხდეს დაუცველი ან მაღალი რისკის მქონე სექსუალური ქცევის ეპიზოდებთან ერთად (Kurcevič and Lines, 2020; van der Gouwe, 2021). ეს მოვლენები შემამფოთებელია, თუ გავითვალისწინებთ ნარკოტიკების ინექციის გზით მოხმარებლებს შორის აივ-ისა და HCV-ის შედარებით მაღალი დონის გავრცელების კონტექსტს ბელარუსსა და უკრაინაში.

EWSD მონაცემებით, საქართველოს რესპონდენტთა 12%-მა და უკრაინის რესპონდენტთა 20%-მა აღნიშნა გასულ წელს მეტამფეტამინის მოხმარების შემთხვევა (EWSD, 2021a, 2021b).

ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები

კვლევაში განხილული ყველაზე ფართოდ გავრცელებული ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები (აფნ) რეგიონში მოიცავს სინთეზურ კათინონებს - α-პიროლიდინოპენტოფენონს (ალფა-პვპ) და 4-მეთილმეთაკათინონს (4-MMC, რომელსაც ასევე უწოდებენ მეფედრონს). ორივე ამჟამად კონტროლდება ევროკავშირის და საერთაშორისო დონეებზე. ასევე გავრცელებულია სინთეზური კანაბინოიდები (თუმცა ძირითად ინფორმატორებს არ დაუსახელებიათ კონკრეტული სინთეზური კანაბინოიდები).

სინთეზურ კათინონებს რეგიონში ხშირად უწოდებენ „აბაზანის მარილებს“ ან „სოლს“ (რუსული ტერმინი) (Kurcevič and Lines, 2020). სინთეზურ კანაბინოიდებს ხშირად უწოდებენ „Spice-ს“ ან „სინთეზურ კანაფს“. საქართველოში ტერმინები „აფნ“ და „ბიო“ თითქმის ექსკლუზიურად ეხება სინთეზურ კანაბინოიდებს (Beselia და სხვ., 2019b).

უნდა აღინიშნოს, რომ აფნ-თან დაკავშირებული ინფორმაციის ინტერპრეტაციისას აუცილებელია სიფრთხილე, რადგან ტერმინ „აფნ-ს“ ზოგჯერ განსხვავებულად აღიქვამენ და იყენებენ ENP-ის აღმოსავლეთ რეგიონში (van der Gouwe, 2021). სპეციალისტები და ნარკოტიკების მომხმარებლები აღნიშნულ ტერმინს ხანდახან აღიქვამენ, როგორც ნებისმიერი ისეთი სინთეზური ნივთიერების ადმინიშნელს, რომელიც ისტორიულად არ ყოფილა ხელმისაწვდომი ნარკოტიკების შიდა ბაზარზე, მაგალითად, MDMA.

წარმოება

მთლიანობაში, რეგიონში აფნ-ს წარმოების მასშტაბი უცნობია, თუმცა, სავარაუდოდ, უნდა იყოს მცირე, რადგან ამ ნივთიერებების უმეტესობა რეგიონში იმპორტირებულია. დაფიქსირდა რამდენიმე ნიშანი სინთეზური კათინონების წარმოებისა და სინთეზური კანაბინოიდების გადამუშავების შესახებ ბელარუსში, მოლდოვასა და უკრაინაში. ამასთან, წარმოების შემთხვევები დაფიქსირდა სამხრეთ კავკასიაშიც. მაგალითად, საქართველომ განაცხადა 2019 წელს ალფა-პვპ-ს მწარმოებელი სამი ლაბორატორიის დემონტაჟის შესახებ.

ცნობილია, რომ ალფა-პვპ-ს მწარმოებელი ლაბორატორიები მოლდოვაში 2018 წლამდე ფუნქციონირებდა. თუმცა, რამდენიმე ლაბორატორიის დემონტაჟის შემდეგ, როგორც ჩანს, შიდა წარმოება შეწყდა და არ არსებობს მისი აღდგენის მტკიცებულება.

ბელარუსში მეფედრონისა და ალფა-პვპ-ს შიდა წარმოება შემცირდა ბოლო სამი წლის განმავლობაში რამდენიმე წარმოების ობიექტის დემონტაჟის შემდეგ.

ნარკოტრაფიკი

როგორც ჩანს, სინთეზური კათინონები სამხრეთ კავკასიაში ჩინეთიდან, ევროკავშირიდან, რუსეთიდან, თურქეთიდან და უკრაინიდან შემოდის. ძირითადი ინფორმანტების ცნობით, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა აფნ-ს ამოღების შემთხვევათა რაოდენობა. სავარაუდოდ, აღნიშნული ნარკოტიკები შემოვიდა ევროკავშირიდან, ჩინეთიდან და თურქეთიდან (სურათი 9).

სინთეზური კანაბინოიდები ძირითადად შედის ბელარუსში, მოლდოვასა და უკრაინაში ჩინეთიდან, რასაც ემთხვევა ბოლო წლებში ამოღების შემთხვევათა მატება ამ ქვეყნებში. ცნობილია, რომ უკრაინაში წარმოებული ზოგიერთი აფნ იგზავნება მეზობელი ქვეყნების ბაზარზე, ძირითადად მოლდოვაში (IPFPEDM, 2022).


საცალო ვაჭრობა

რეგიონში აფნ-ს გამოჩენის პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობდა ბოლო ათწლეულის განმავლობაში, თუმცა 2018 წლიდან აღინიშნება მათი გაყიდვის სწრაფი ზრდა. დღესდღეობით ცნობილია, რომ აღნიშნული ნარკოტიკული საშუალებები არის ფართოდ ხელმისაწვდომი და ადვილად შესაძენი ონლაინ ნარკობაზარზე დარქნეტისა და სოციალური მედიის არხების საშუალებით (მაგ. Telegram). ძირითადი ინფორმანტების ინტერვიუებიდან გამომდინარე, რეგიონში აფნ ძირითადად იყიდება ციფრული ბაზრის მეშვეობით.

რეგიონში აფნ-ს ფასების მონაცემები კვლავ შეზღუდული და დანაწევრებულია. ძირითადი ინფორმანტების თქმით, მოლდოვაში 1 გრამი ალფა-პვპ ღირს 15 ევრო, ხოლო ბელარუსში 1 გრამი ალფა-პვპ-ის ან მეფედრონის ფასი 30-50 ევროს შეადგენს. Hydra დარქნეტ ბაზარზე ყველაზე ხშირად გაყიდულ ნარკოტიკების სიაში კანაფის შემდეგ მეფედრონი მეორე, ხოლო ალფა-პვპ კი მესამე ადგილზე მოხვდა. ცნობილია, რომ სინთეზური კანაბინოიდები მცენარეულ კანაფთან ან ჰაშიშთან შედარებით იაფია, თუმცა ფასის შედარებითი და სანდო მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

სურათი 9

ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების ნარკოტრაფიკის მთავარი მარშრუტები ENP-ის აღმოსავლეთ ქვეყნებში



ხელმისაწვდომობა, მოხმარება და ზიანი

სინთეზური კათინონების მოხმარება აღინიშნება ბელარუსში, მოლდოვასა და უკრაინაში, სადაც ეს ნივთიერებები, როგორც ჩანს, ბოლო წლებში მოხმარებადი ნარკოტიკების ერთ-ერთ მთავარ სახეობად იქცა. მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებმაც გავლენა მოახდინა აფნ-ს მოხმარებაზე, არის მათი ფასი, სიმძლავრე და ფართო ხელმისაწვდომობა.

მთლიანობაში, სინთეზური კათინონების ხელმისაწვდომობა და მოხმარება დიდწილად შემოიფარგლება 4-MMC და ალფა-პვპ-ით. თუმცა, სისტემატური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზისა და ტოქსიკოლოგიური ანალიზის ნაკლებობის გამო შეუძლებელია იმის დადგენა, 4-MMC-ისა და ალფა-პვპ-ის სახით გაყიდული ნარკოტიკები რეალურად შეიცავს თუ არა ამ ნივთიერებებს.

საპირისპირო ვითარებაა სამხრეთ კავკასიაში, სადაც სინთეზური კათინონების მოხმარება, როგორც ჩანს, მცირემასშტაბიანი და იშვიათია. თუმცა, აღინიშნება

ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მზარდი მოხმარება მოლდოვაში

მოლდოვის სამართალდამცავი ორგანოების ცნობით, აფნ, სავარაუდოდ, შეადგენს ქვეყნის ნარკობაზრის დაახლოებით ნახევარს, რაც ასახავს ბაზრის საერთო აფნ-ზე მიმართულ ტენდენციას. მოლდოვა არის რეგიონის ერთადერთი ქვეყანა, სადაც, არსებულ ცნობებზე დაყრდნობით, სავარაუდოა, რომ სინთეზური კანაბინოიდები უფრო ფართოდ მოხმარებალია, ვიდრე მცენარეული კანაფი. მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივი მონაცემებით ამის დასაბუთება შეუძლებელია, ძირითადი ინფორმანტების თქმით, საგულისხმოა ბოლოდროინდელი ტენდენციის ცვლილება მცენარეული კანაფიდან სინთეზურ კანაბინოიდებზე. გარდა ამისა, მოლდოვაში ფართოდ მოხმარებალია სინთეზური კათინონებიც. 1 გრამი ალფა-პვპ-ს ფასი დაახლოებით 15 ევროს შეადგენს.

სინთეზური კანაბინოიდების მოხმარება. ზოგიერთმა ძირითადად ინფორმანტმა განაცხადა, რომ სინთეზური კანაბინოიდების მოხმარება იზრდება და რომ შედეგად უფრო მეტი ადამიანი მიდის ამ ნივთიერებებთან დაკავშირებული გართულებების სამკურნალოდ (მაგ.: პრობლემური მოხმარებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გამო) (van der Gouwe, 2021). ბელარუსსა და უკრაინაში სინთეზური კანაბინოიდები არაა ფართოდ მოხმარებადი. თუმცა, მთავარმა ინფორმანტებმა განაცხადეს მათი გამოყენების პოტენციური ზრდა მოლდოვაში (იხ. ჩანართი: ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მზარდი მოხმარება მოლდოვაში). გარდა ამისა, UNODC-ის თანახმად, საქართველოში აფნ-ს მოხმარება ბოლო ათწლეულის განმავლობაში იზრდება (UNODC, 2022b). თუმცა, გაურკვეველია, რომელ კონკრეტულ აფნ-ს ეხება აღნიშნული ზრდა.

როგორც ჩანს, რეგიონში აფნ-ს მოხმარებელთა ძირითად ჯგუფს მიეკუთვნებიან ახალგაზრდები, რომლებიც აღნიშნავენ ამგვარი ნივთიერებებით ექსპერიმენტირებას. ამასთან, ნივთიერებათა ამ კატეგორიის მოხმარებელთა ჯგუფი მოიცავს ამჟამინდელი და ყოფილი მაღალი რისკის მქონე ოპიოიდების მოხმარებლებს. მაგალითად, უკრაინაში აფნ-ს გამოყენება დაკავშირებულია წვეულებებთან და ე.წ. „რეივებთან“, რომლებსაც ესწრებიან ახალგაზრდები. მთავარმა ინფორმანტებმა აღნიშნეს, რომ მაღალი რისკის მქონე ოპიოიდების მოხმარებლებში აფნ-ს მოხმარებაზე გავლენა შეიძლება იქონიოს ჰეროინის მაღალმა ფასმა, დაბალმა სისუფთავემ და ხელმისაწვდომობამ. შესაბამისად, მოხმარებლებს ეძლევათ შესაძლებლობა გადაერთონ ისეთ უფრო იაფ და, საერთო აღქმით, უფრო ძლიერ ნივთიერებებზე, როგორებიცაა აფნ. ზოგიერთი მაღალი რისკის მქონე ოპიოიდების მოხმარებლისთვის მიმზიდველი შეიძლება აღმოჩნდეს აფნ-ს განსხვავებული ეფექტი. მიუხედავად იმისა, რომ სინთეზურ კანაბინოიდებს, როგორც ჩანს, ძირითადად მოიხმარენ ახალგაზრდები, სინთეზური კათინონის მოხმარება გავრცელებულია აფნ-ს მოხმარებელთა ყველა ჯგუფში.

აფნ-ს მოხმარებელთა ჯგუფებს შორის აღინიშნება განსხვავება მიღების გზებში. ნარკოტიკების მაღალი რისკის მოხმარების პატერნების მქონე ადამიანები, როგორც ჩანს, მიდრეკილნი არიან სინთეზური კათინონების ინექციის გზით მოხმარებისკენ მაშინ, როდესაც ახალგაზრდები და რეკრეაციულ გარემოში მყოფი მოხმარებლები მიდრეკილნი არიან ნარკოტიკების მოწვევისკენ ან პერორალურად მიღებისკენ.

მთლიანობაში, აფნ განიხილება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ახალ გამოწვევად და პრობლემურ საკითხად მთელ რეგიონში, რადგან, არსებული ინფორმაციით, იზრდება მათ მოხმარებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის ინციდენტთა რაოდენობა. სხვა

პრობლემურ შედეგებთან ერთად, მატულობს სინთეზური კათინონებისა და სინთეზური კანაბინოიდების მოხმარებასთან დაკავშირებული ფსიქოზის შემთხვევებიც (van der Gouwe, 2021). რეგიონში კვლავ გამოწვევად რჩება აფნ-ს მოხმარებელთა საჭიროებებზე მორგებული სპეციალური სერვისები, თუმცა ბოლო წლებში იყო მცდელობები ჯანმრთელობისა და ზიანის შემცირების სერვისების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად აფნ-სთან დაკავშირებულ პრობლემებზე რეაგირებისთვის (van der Gouwe, 2021).

ხელვა

ნარკოტრაფიკის მარშრუტები

როგორც ანგარიშშია ხაზგასმული, არსებობს სხვადასხვა მინიშნება იმის შესახებ, რომ ENP-ის აღმოსავლეთ რეგიონის ქვეყნები სულ უფრო ხშირად გამოიყენება ევროკავშირისა და მეზობელი ქვეყნებისკენ მიმართული ჰეროინისა და, შესაძლოა, კოკაინის ნაკადების სატრანზიტო პუნქტებად, განსაკუთრებით შავი ზღვის პორტების გავლით. როგორც ჩანს, საზღვაო ნარკოტრაფიკის მარშრუტების გამოყენება საქართველოსა და თურქეთის პორტებიდან ასევე გაიზარდა COVID-19-ის მოგზაურობის შეზღუდვების შედეგად. უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტი და რუსეთის სამხედრო აქტივობის ზრდა შავ ზღვაში ამჟამად გავლენას ახდენს ნარკოტრაფიკის ამ შედარებით ახალ მარშრუტებზე. როგორც ასეთი, შავი ზღვის გავლით ნარკოტიკების გადაზიდვის აქტიური მონიტორინგი და ამ მარშრუტების ნებისმიერი პოტენციური ცვლილება ხელს შეუწყობს ევროკავშირსა და მეზობელ ქვეყნებში სამართალდამცავი ორგანოების სამომავლო მზადყოფნას.

გარდა ამისა, სამხრეთ კავკასიაში მეტამფეტამინის ამოღების შემთხვევები ხაზს უსვამს იმის რისკს, რომ რეგიონი იქცეს ირანში ან ავღანეთში წარმოებული მეტამფეტამინის სატრანზიტო მარშრუტად, რომელიც შესაძლოა ჰეროინთან ერთად მოძრაობდეს ჰეროინის ნარკოტრაფიკის არსებულ მარშრუტებზე. სამხრეთ კავკასიაში ამოღებული მეტამფეტამინის ქიმიური გამოკვლევის ჩატარება ხელს შეუწყობს ამ ნარკოტიკების წარმოშობის დადგენას და, შესაბამისად, სასარგებლო იქნება ამკრძალავი ზომების მიმართულებით ძალისხმევაში.

ცოდნის დეფიციტის სფეროები

მონაცემთა ნაკლებობა

რეგიონული ნარკოვიტარების შესახებ ცოდნის ძირითადი დეფიციტი გამომდინარეობს სისტემატურად შეგროვებული, სანდო და შესადაარებელი მონაცემების ნაკლებობიდან. ნარკოტიკების რუტინული მონიტორინგის მონაცემების ნაკლებობა ართულებს ვითარების გაანალიზებას ქვეყნის დონეზე და რეგიონულად. შესაბამისად, რთულია გარკვეულ სანდო ტენდენციებზე დაფუძნებული ანალიზის შემუშავება. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მონაცემი შეიძლება შეგროვდეს ცალკეული სამთავრობო დეპარტამენტების ან სამსახურის

მიერ, ასეთი მონაცემები ზოგადად ხელმისაწვდომი არ არის.

გარდა ამისა, EMCDDA-ს ხელმძღვანელობით ჩატარებული კვლევები და გამოკითხვები, რომლებიც მიზნად ისახავს დამატებითი მონაცემების მოძიებას მიმდინარეობს რეგიონის მცირე რაოდენობის ქვეყნებში. მონაცემთა შეგროვების სხვა უფრო ახალი და ეკონომიური მეთოდების დანერგვა შეზღუდულია, თუმცა ამკარად აქვს პოტენციალი, გააუმჯობესოს ჩვენი გაგება ბაზრის ტენდენციებისა და ნარკოტიკების მოხმარების პატერნების შესახებ რეგიონში. განსაკუთრებით მწირია კარგი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის და ტოქსიკოლოგიური მონაცემები, ისევე როგორც ემპირიულად მტკიცე მონაცემები ნარკოტიკების მოხმარების გავრცელების შესახებ. ნარკოტიკების შემოწმების სერვისები დიდწილად მიუწვდომელია მთელ რეგიონში, თუმცა ცოტა ხნის წინ განხორციელდა რამდენიმე საპილოტე პროექტი. ნარკოტიკების შემოწმების სერვისები შეიძლება იყოს სასარგებლო ინსტრუმენტი ინფორმაციის მიწოდებისთვის მოხმარებადი ნარკოტიკებს სახეობებისა და ნივთიერებათა სისუფთავის შესახებ⁽¹¹⁾. ამგვარმა სერვისებმა, შესაბამის კვლევებთან ერთად, შეიძლება ნათელი მოჰფინოს სხვადასხვა ნარკოტიკის მიმართ გამოყენებული ტერმინებს შორის სხვაობის საკითხს (იხილეთ: განსხვავებული ტერმინოლოგია, ქვემოთ). მონაცემთა შეგროვების სხვა მეთოდები, როგორებიცაა ჩამდინარე წყლების ანალიზი და ნემსისა და შპრიცის ტესტირება (ეს უკანასკნელი ამჟამად ტარდება EMCDDA-ს ESCAPE პროექტთან კოორდინირებით რეგიონის რამდენიმე ქვეყანაში) შეიძლება კიდევ უფრო დაგვეზარდოს რეგიონული ნარკოვიტარების უკეთ გაგებაში.

განსხვავებული ტერმინოლოგია

წინამდებარე ანგარიშისთვის ჩატარებული ინტერვიუების მსვლელობისას ცხადი გახდა, რომ სხვადასხვა ნივთიერების მიმართ გამოყენებული ტერმინოლოგია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ქვეყნებსა და ჩართულ მხარეებს შორის. მაგალითად, ევროკავშირში წლების მანძილზე მოხმარებადი ნივთიერებები, როგორცაა MDMA, რეგიონში ზოგჯერ განიხილება და მოიხსენიება როგორც აფნ, პროფესიონალებისა და ნარკოტიკების მომხმარებელთა მიერ. სავარაუდოდ, ეს იმიტომ ხდება, რომ ეს ნივთიერებები შედარებით ახალია ბაზარზე. საჭიროა აღნიშნული თემის შემდგომი შესწავლა, მათ შორის, ნარკოტიკების ნიმუშების ტესტირება და ანალიზი, რათა დაზუსტდეს, რა ნარკოტიკების ამოღება და

⁽¹¹⁾ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: https://www.emcdda.europa.eu/spotlights/spotlight-drug-checking_en.

მოხმარება ხდება რეგიონში. ზოგადად, მნიშვნელოვანია ამაღლდეს ცნობიერება პერიოდულად განსხვავებული და დამახინჯელი ტერმინების შესახებ, რომლებიც გამოიყენება რეგიონში ნარკოტიკების სხვადასხვა სახეობის აღსანიშნად მონაცემთა ანალიზისა და ინტერპრეტაციისას.

უკრაინაში რუსეთის შეჭრის გავლენა

2022 წლის თებერვალში უკრაინაში რუსეთის შეჭრის შედეგად, როგორც აღწერილია წინამდებარე ანგარიშში, ნარკოვითარება რეგიონში, განსაკუთრებით უკრაინასა და მეზობელ ქვეყნებში, სავარაუდოდ მნიშვნელოვნად შეიცვალა. მოკლევადიანი პერსპექტივით, ნარკოტიკების წარმოებისა და ნარკოტრაფიკის შეფერხებები და ცვლილებები დამაჯერებელია. ამასთან, უკვე აშკარაა ჯანმრთელობის უარყოფითი შედეგები წამლების მიწოდებისა და ჯანდაცვის სერვისების შეფერხების გამო. ომის გრძელვადიანი შედეგების პროგნოზირება ამ ეტაპზე რთულია, მაგრამ მოითხოვს მუდმივ მონიტორინგს.

გლობალური მეგატენდენციების გავლენა

არსებობს რამდენიმე მეგატენდენცია⁽¹²⁾, რომელიც, სავარაუდოდ, მომავალშიც იქონიებს გავლენას რეგიონში ნარკობაზრის განვითარებაზე.

დიגיტალიზაცია

ონლაინ ნარკობაზრის გაფართოება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რეგიონში წამალდამოკიდებულების ჭრილში. მიუხედავად იმისა, რომ ნარკოტიკების შეძენის ტრადიციული (ე.წ. „ოფლაინ“) მეთოდები ჯერ კიდევ არსებობს და, სავარაუდოდ, კვლავ დომინირებს, მრავალი ცნობა მიუთითებს იმაზე, რომ ბოლო წლებში გაიზარდა იმ ადამიანების რიცხვი, ვინც ინტერნეტის საშუალებით ყიდულობს ნარკოტიკებს. შესაძლებელია, რომ რეგიონში ნარკოტიკების ფართო სპექტრის მაღალ ხელმისაწვდომობაზე გავლენა იქონია სწორედ ციფრული სისტემებზე დაფუძნებულმა ონლაინ ბაზარმა. ამის გათვალისწინებით, ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ რა დონეზე ახდენს ონლაინ ციფრული ბაზარი გავლენას ნარკოტიკების მიწოდებაზე და არსებობს მრავალი

გამოწვევა ამ მეტად დინამიკური სფეროს მონიტორინგის მიმართულებით.

რეგიონში ონლაინ ნარკობაზარზე განვითარებულ მოვლენებს ასევე აქვს პოტენციური გავლენა იქონიოს ნარკოვითარებაზე ევროკავშირში. ENP-ის აღმოსავლეთ რეგიონის ონლაინ ბაზრის სამიზნე მომავალში შესაძლოა გახდეს მომხმარებელი ევროკავშირში. ამისთვის მათ შეიძლება მარკეტინგის ფარგლებში გამოიყენონ ინგლისური ენა ან გაასაღონ ნარკოტიკები უფრო იაფად, ვიდრე ევროკავშირის ბაზარზე. შესაძლებელია, რომ ციფრულად გამართულ ნარკობაზარს მომავალში უფრო დიდი როლი ჰქონდეს ამ რეგიონში ნარკოტიკებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობაში. როგორც ასეთი, მონიტორინგს იმ კუთხით, თუ როგორ ადვილებს დიგიტალიზაცია ნარკოტიკული საშუალებების მიწოდებას, ასევე მზარდი მნიშვნელობა ექნება ნარკოტიკების მომავალი ტენდენციების გასაგებად.

გლობალიზაცია და ტრანსნაციონალური მობილურობა

როგორც ანგარიშიდან ჩანს, არსებობს წინასწარი მინიშნებები, რომ რეგიონში ყალიბდება და აქტიურდება საერთაშორისო კრიმინალური ქსელები. მსგავსი განვითარება დაფიქსირდა უკანასკნელ ანალიზში *ევროკავშირის ნარკობაზარზე: სიდრმისეული ანალიზი* (EMCDDA and Europol, 2022a, 2022b), რომლის მიხედვითაც ლათინურ ამერიკულმა ნარკოტრაფიკის ორგანიზაციებმა დააარსეს ქსელები ევროკავშირში მეტამფეტამინისა და კოკაინის წარმოებისა და ნარკოტრაფიკის გასაადვილებლად. ENP-ის აღმოსავლეთ რეგიონში საერთაშორისო კრიმინალური ქსელების ჩამოყალიბებამ შეიძლება მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას და, შესაბამისად, აღნიშნული პროცესი მოითხოვს მუდმივ მონიტორინგს და გამოძიებას.

მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონებში განვითარებულმა მოვლენებმა გამოიწვია ENP-ის აღმოსავლეთ რეგიონში ხალხის შედინების ზრდა. ეს მოიცავს ირანიდან და ლიბანიდან ხალხის გადაადგილებას სამხრეთ კავკასიის მიმართულებით და ბოლო პერიოდში რუსეთის შეჭრის შემდგომ ლტოლვილების ნაკადს უკრაინიდან. ადამიანთა აღნიშნულმა დიდმა ნაკადმა შესაძლოა გავლენა იქონიოს ნარკოტრაფიკსა და მოხმარებაზე. დაუცველი ადამიანები შეიძლება გახდნენ სამიზნე ნარკოტიკების საზღვრებს გარეთ გასატანად, ხოლო ომის ზონიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს შეიძლება ჰქონდეთ ნარკოტიკების მოხმარების პრობლემური პატერნების განვითარების რისკი (იხილეთ EMCDDA (2022b) უკრაინის მოსაზღვრე ევროკავშირის ქვეყნებში იძულებით გადაადგილებული უკრაინელების ნარკოტიკებთან დაკავშირებული საჭიროებების დაკმაყოფილებაზე მიმართული რეაგირების დონისა და მზადყოფნის ანალიზი). პოლიტიკურმა არასტაბილურობამ ასევე შეიძლება შექმნას შესაძლებლობები ორგანიზებული კრიმინალური ქსელებისთვის. საერთო ჯამში, ეს არის

⁽¹²⁾ მეგატენდენციები წარმოადგენს გრძელვადიან მამოძრავებელ ფაქტორებს, რომლებიც ამჟამად შესამჩნევია და რომელთაც დიდი ალბათობით ექნებათ გავლენა გლობალურ დონეზე. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: https://knowledge4policy.ec.europa.eu/foresight/tool/megatrends-hub_en.

საკითხები, რომლებიც საჭიროებს მონიტორინგს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბაზრის ცვლილებებზე სათანადო რეაგირება და ადეკვატური, ნარკოტიკების მომხმარებელთა საჭიროებებზე მორგებული ზიანის შემცირების, მკურნალობისა და ჯანმრთელობის დაცვის ზომების ხელმისაწვდომობა. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის საჭიროებების შეფასების კუთხით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იძულებით გადაადგილებულ პირებს ან მიგრანტთა თემებს, რომლებიც შეიძლება იმყოფებოდნენ მაღალი რისკის ქვეშ როგორც წამალდამოკიდებულებასთან დაკავშირებული პრობლემების მხრივ, ისე ნარკოტიკების წარმოებაში, ნარკოტრაფიკსა თუ გაყიდვაში ჩართული კრიმინალური ჯგუფების მიერ ექსპლუატაციისგან დაუცველობით.

გამოყენებული შემოკლებები

ალფა-პვპ	α-პიროლიდინოპენტოფენონი (ასევე α-პიროლიდინოვალეროფენონი)
აფნ	ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები
ღებტიქ	ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ინტერსექსი და ქვიარი
4-MMC	4-მეთილმეტაკათინონი
COVID-19	კორონავირუსის დაავადება 2019
HCV	ჰეპატიტის ვირუსი C
EHRA	ევრაზიის ზიანის შემცირების ასოციაცია
EMCDDA	ევროპის ნარკოტიკებისა და წამალდამოკიდებულების მონიტორინგის ცენტრი
ENP	ევროპული სამეზობლო პოლიტიკა
ESCAPE	შპრიცების შეგროვებისა და ანალიზის ევროპული საწარმო
ESPAD	ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შემსწავლელი ევროპის სასკოლო კვლევის პროექტი
EU	ევროკავშირი
EU4MD	EU4Monitoring Drugs პროექტი
EWSD	ევროპული ვებ-გამოკითხვა ნარკოტიკებზე
MDMA/ექსტაზი	3,4-მეთილონდიოქსი-მეტამფეტამინი
UNODC	გაეროს ნარკოტიკების და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი

ტერმინების განმარტება

დეზომორფინი (ადგილობრივი სახელწოდებით „ნიანგი“) არის სწრაფი მოქმედების ნახევრად სინთეზური ოპიოიდი. ის წარმოადგენს ოპიოიდურ ანალოგს, რომლის დამზადება შესაძლებელია კოდეინისა და სხვა ინგრედიენტების შემცველი ტაბლეტების მოხარშვით (Gahr და სხვ., 2012).

ვინტი არის კუსტარული შიდა წარმოების მეტამფეტამინი, რომელსაც ამზადებენ ეფედრინის და ფსევდოეფედრინის შემცველი მედიკამენტებით (ანუ, ეფედრინის მეტამფეტამინად გარდაქმნა აღდგენით).

ლოკაციაზე მიტანა (გარკვეულ ქვეყნებში ადგილობრივი სახელწოდებით - „zakladki“) წარმოადგენს ნივთების (მათ შორის, არალეგალური პროდუქტების) გადაცემის მეთოდს. ის საშუალებას აძლევს გამსაღებელს დატოვოს პროდუქტი საიდუმლო და შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ გეოგრაფიულ ლოკაციაზე, რომლის შესახებაც მხოლოდ ორმა პროცესში ჩართულმა მხარემ იცის.

მაკი არის კუსტარულად დამზადებული ოპიოიდური დერივატის ადმინიშნული ადგილობრივი ტერმინი. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: Hearne და სხვ. (2016) და Gahr და სხვ. (2012).

ნარკოტიკების მაღალი რისკის მოხმარება გულისხმობს „ნარკოტიკების განმეორებით მოხმარებას, რომელიც იწვევს რეალურ ზიანს (უარყოფით შედეგებს) ადამიანისთვის (მათ შორის, დამოკიდებულებას სხვა ჯანმრთელობის, ფსიქოლოგიურ ან სოციალურ პრობლემებს) ან ზრდის ადამიანის მიმართ ამგვარი ზიანისგან მიყენების ალბათობას“ (EMCDDA, 2017).

ქიმსექსი წარმოადგენს, აქტივობისა და სიამოვნების ამადლების მიზნით, ნარკოტიკების მოხმარებას სექსუალურ აქტამდე ან მის დროს, რაც ზრდის სექსუალური გზით გადამდები ინფექციების გადაცემისა და წამალდამოკიდებულების განვითარების რისკს.

ქუჩის მეტადონი აღნიშნავს არალეგალურ ბაზარზე ხელმისაწვდომ არალეგალურად წარმოებულ ნივთიერებას, რომელსაც ნარკოტიკების მოხმარებლები უწოდებენ „მეტადონს“. ის მოიპოვება ფხვნილის სახით და მოიხმარენ ინექციის გზით. მას ასევე უწოდებენ „კრისტალურ მეტადონს“ (EMCDDA, 2020a).

შირკა არის ყაყაჩოს ჩაღისგან კუსტარულად დამზადებული ოპიოიდური დერივატის ადმინიშნული ადგილობრივი ტერმინი. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: Hearne და სხვ. (2016).

წიწვის (ეფედრას) ვინტი არის კუსტარულად წარმოებული მეტამფეტამინი, რომელსაც ძირითადად ამზადებენ და მოიხმარენ საქართველოში. ის მზადდება საქართველოს ენდემური ეფედრინის შემცველი მცენარისგან. საერთო ჯამში, ის მზადდება ვინტის მსგავსად იმ კუთხით, რომ საბოლოო პროდუქტი უნდა შეიცავდეს მეტამფეტამინს (Otiashvili და სხვ., 2017).

დანართი:

მეთოდოლოგიური შენიშვნები ENP-ის აღმოსავლეთ რეგიონში ნარკოტიკების ამოღების შესახებ

ნაწილი 1: ENP-ის აღმოსავლეთ ქვეყნებში ამოღებული შერჩეული ნარკოტიკების სავარაუდო მინიმალური საერთო რაოდენობის ტენდენციები

ინფორმაციის სრულყოფის მიზნით, რეგიონში ამოღების მონაცემთა კრებული (ცხრილი ა1) ეყრდნობა სამი განსხვავებული წყაროს მონაცემებს. მიუხედავად ამისა, ანალიზისთვის ხელმისაწვდომი მონაცემები აშკარად ჯერ კიდევ არასრულია და აღინიშნება რთულად გასაგები განსხვავებები ხელმისაწვდომ წყაროებს შორის. 2016-2020 წლების პერიოდის ეროვნულ მონაცემთა კრებულებში ინფორმაციის ნაკლებობის გამო ⁽¹³⁾, შემდეგი ქვეყნების მონაცემები არ არის განხილული:


- ჰეროინი: მოლდოვა
- კოკაინი: აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა
- მეტამფეტამინი: აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, უკრაინა
- ამფეტამინი: სომხეთი, აზერბაიჯანი
- „ექსტაზის“ ტიპის სტიმულატორები: სომხეთი, აზერბაიჯანი

აღნიშნული მონაცემების ინტერპრეტაციისას საჭიროა სიფრთხილე (სურათი ა1). მაგალითად, აზერბაიჯანმა განაცხადა, რომ 2020 წელს ამოღებულ იქნა 200,5 კილოგრამი მეტამფეტამინი. ეს რაოდენობა რვაჯერ

⁽¹³⁾ ქვეყნების მონაცემები არ იქნა შეტანილი, სადაც შეუძლებელი იყო 2016-2020 წლების პერიოდში პროცესის განვითარების დადგენა. ძირითადად გამოყენებული იყო UNODC-ის მონაცემები, ხოლო დამატებითი წყაროები იქნა გამოყენებული იმ წლებზე ინფორმაციის დასაფარად, რომლებიც არ შესულა UNODC-ის მონაცემებში, რათა შექმნილიყო სრულყოფილი სურათი.

სურათი ა1

ENP-ის აღმოსავლეთ რეგიონში ამოღებული შერჩეული ნარკოტიკების რაოდენობის ტენდენციები 2016-2020 წლებში



აღემატება 2020 წელს სომხეთისა და საქართველოს მიერ დაფიქსირებულ მთლიან ამოღებულ რაოდენობას, რაც შეტანილია ფიგურაში. თუმცა, 2016-2019 წლებში მონაცემთა ნაკლებობის გამო, აზერბაიჯანი გამოეთიშა ანალიზს და, შესაბამისად, აზერბაიჯანის ვითარება არ აისახება რეგიონში ამოღებული მეტამფეტამინის აღნიშნულ მთლიან მაჩვენებელში.

ცხრილი ა1

ENP-ის აღმოსავლეთ რეგიონში ამოღებული ნარკოტიკების რაოდენობის (კგ) ტენდენციები

	2016	2017	2018	2019	2020
კანაფი (მცენარეული)	2 399.03	4 672.59	3 208.63	4 823.37	6 915.95
კოკაინი	0.42	0.25	12.32	838.03	166.085
ჰეროინი	1 283.17	301.82	1 263.06	3 698.29	2 931.44
ამფეტამინი	19.49	19.64	38	50.39	34.06
„ექსტაზის“ ტიპის ნივთიერებები	6.71	4.15	4.939	38.94	43.02
მეტამფეტამინი	1.28	2.77	4.66	11.84	13.16

ნაწილი 2: ანალიტიკური შენიშვნა მონაცემთა წყაროებზე

რეგიონში ამოღებული ნარკოტიკების რაოდენობის პირველადი მონაცემთა წყაროა 2022 წლის ნარკოვთარების მსოფლიო ანგარიშის სტატისტიკური დანართის ცხრილი 7.1 (UNODC, 2022c).

Excel-ის დოკუმენტი ჩაიტვირთა ვებგვერდიდან 2022 წლის 4 ივლისს და ENP-ის აღმოსავლეთ რეგიონის ექვსი ქვეყნიდან ამოღებული მონაცემები გადაწვილდა ცალკეულ მონაცემთა კრებულებში თითოეული ნარკოტიკის მიხედვით.

მცენარეული კანაფი: ინფორმაცია ამოღებული მცენარეული კანაფის რაოდენობაზე მოპოვებულია შემდეგი ჩანაწერების შერჩევით: ნარკოტიკების ჯგუფი „კანაფის ტიპის ნარკოტიკები (სინთეზური კანაბინოიდების გარდა)“, ნარკოტიკების ქვეჯგუფი „კანაფის მცენარე (მარიხუანა)“ და ნარკოტიკის სახელწოდება „კანაფის მცენარე (მარიხუანა)“. მცენარეული კანაფის მონაცემთა კრებულში არ იყო საქართველოს (2020) და უკრაინის (2018) მონაცემები. მონაცემთა საბოლოო კრებულში საქართველო და უკრაინა შესაბამის ეროვნულ ანგარიშებზე დაყრდნობით იქნა განხილული. (იხილეთ: ცხრილი ა2 იმ მონაცემებისთვის, რომელიც არ იყო ხელმისაწვდომი და დამატებითი ანგარიშებით იქნა მოძიებული).

ჰეროინი: ინფორმაცია ამოღებული ჰეროინის რაოდენობაზე მოპოვებულია შემდეგი ჩანაწერების ქვეშერჩევით: ნარკოტიკების ჯგუფი „ოპიოიდები“, ნარკოტიკების ქვეჯგუფი „ჰეროინი“ და ნარკოტიკის სახელწოდება „ჰეროინი“. UNODC-ის ჰეროინის მონაცემთა კრებულში არ იყო მოლდოვისა (2016) და უკრაინის (2018) მონაცემები. მიუხედავად იმისა, რომ მოლდოვის მონაცემები არ იყო ანალიზში, უკრაინა საბოლოო მონაცემთა კრებულში დამატებით ეროვნულ ანგარიშებზე დაყრდნობით იქნა განხილული.

კოკაინი: ინფორმაცია ამოღებული კოკაინის რაოდენობაზე მოპოვებულია შემდეგი ჩანაწერების ქვეშერჩევით: ნარკოტიკების ჯგუფი „კოკაინის ტიპი“, ნარკოტიკების ქვეჯგუფი „კოკაინი“ და ნარკოტიკის სახელწოდება „კოკაინის ჰიდროქლორიდი“ ან „კოკაინი“. კოკაინის მონაცემთა კრებულში არ იყო აზერბაიჯანის (2016, 2017, 2018, 2019, 2020), ბელარუსის (2019), საქართველოს (2020), მოლდოვას (2016, 2017) და უკრაინის (2018) მონაცემები. შეძლებისდაგვარად აღნიშნული მონაცემები მოძიებულ იქნა ეროვნულ ანგარიშებიდან. აზერბაიჯანი, ბელარუსი და მოლდოვა ანგარიშში არ არის გათვალისწინებული. საბოლოო მონაცემთა კრებულში საქართველო და უკრაინა დამატებით ეროვნულ ანგარიშებზე დაყრდნობით იქნა განხილული.

მეტამფეტამინი: ინფორმაცია ამოღებული მეტამფეტამინის რაოდენობაზე მოპოვებული იქნა შემდეგი ჩანაწერების ქვეშერჩევით: ნარკოტიკების ჯგუფი „ამფეტამინის ტიპის სტიმულატორები („ექსტაზის“ გამოკლებით)“, ნარკოტიკების ქვეჯგუფი „მეტამფეტამინი“ და ნარკოტიკის სახელწოდება „მეტამფეტამინი“. მეტამფეტამინის მონაცემთა კრებულში არ იყო აზერბაიჯანის (2016, 2017, 2018, 2019), ბელარუსის (2017), საქართველოს (2020), მოლდოვისა (2020) და უკრაინის

(2016, 2017, 2018, 2020) მონაცემები. აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა და უკრაინა ანალიზში არ არის გათვალისწინებული. საბოლოო მონაცემთა კრებულში საქართველო დამატებით ეროვნულ ანგარიშებზე დაყრდნობით იქნა განხილული.

ამფეტამინი: ინფორმაცია ამოღებული ამფეტამინის რაოდენობაზე მოპოვებული იქნა შემდეგი ჩანაწერების ქვეშერჩევით: ნარკოტიკების ჯგუფი „ამფეტამინის ტიპის სტიმულატორები („ექსტაზის“ გამოკლებით)“, ნარკოტიკების ქვეჯგუფი „ამფეტამინი“ და წამლის სახელწოდება „ამფეტამინი“. ამფეტამინის მონაცემთა ბაზაში არ იყო სომხეთი (2016, 2018, 2019), აზერბაიჯანი (2016, 2017, 2018, 2019, 2020), საქართველო (2020) და უკრაინა (2018). სომხეთი და აზერბაიჯანი ანგარიშში არ არის გათვალისწინებული. საბოლოო მონაცემთა კრებულში საქართველო და უკრაინა დამატებით ეროვნულ ანგარიშებზე დაყრდნობით იქნა განხილული.

„ექსტაზის“ ტიპის სტიმულატორები: ინფორმაცია ამოღებული „ექსტაზის“ ტიპის სტიმულატორების რაოდენობა იქნა მიღებული შემდეგი ჩანაწერების ქვეშერჩევით: ნარკოტიკის სახელწოდება „ექსტაზის“ ტიპის ნივთიერებები და ნარკოტიკის სახელწოდება „3,4-მეთილენდიოქსიმეტამფეტამინი (MDMA)“. „ექსტაზის“ ტიპის სტიმულატორების მონაცემთა კრებულში არ იყო სომხეთის (2017, 2019), აზერბაიჯანისა (2018, 2019) და უკრაინის (2018, 2020) მონაცემები. სომხეთი და აზერბაიჯანი ანალიზში არ იყო გათვალისწინებული. საბოლოო მონაცემთა კრებულში უკრაინა დამატებით ეროვნულ ანგარიშებზე დაყრდნობით იქნა განხილული.

ნაწილი 3: ანალიტიკური შენიშვნები დამატებითი მონაცემების წყაროებზე

არასრული ინფორმაციის სრულყოფისთვის გამოყენებულ იქნა შემდეგი წყაროები:

არასრული მონაცემები, რომელთა სრულყოფისთვის გამოყენებულ იქნა დამატებითი წყაროები

EMCDDA-თვის მიწოდებული ნარკოტიკების ეროვნული ანგარიშები

- არასრული მონაცემების სრულყოფისთვის გამოყენებული ინფორმაცია ჩამოთვლილია ცხრილში ა2.

- უკრაინა: IPFPEDM (2022, გვ. 37) – სურათი „ნარკოტიკების და ფსიქოტროპული ნივთიერებების ამოღება უკრაინაში დახურულ სისხლის სამართლის საქმეებზე (კგ), 2018-2020 წლებში“
- საქართველო: საქართველოს ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი (2021, გვ. 57-58) - ცხრილი 17, „მსს-ს მიერ ამოღებული ნარკოტიკული ნივთიერებების სუფთა წონა 2013-2020 წლებში“.

EMCDDA-ს კითხვარი (2021)

- პასუხები კითხვაზე II.3.1, „გთხოვთ, მოგვაწოდოთ მონაცემები ამოღებული ნივთიერებების ოდენობის შესახებ 2018-2020 წლებში“, EMCDDA კითხვარში (2021), რომელიც გაგზავნილია EU4MD პროექტის ეროვნულ საკონტაქტო პირებთან თითოეულ პარტნიორ ქვეყანაში. მონაცემთა შეგროვება განხორციელდა 2021 წლის ოქტომბრიდან ნოემბრამდე პერიოდში ევროკავშირის კვლევის ინსტრუმენტის გამოყენებით. პასუხები მიიღეს მხოლოდ საქართველოდან და უკრაინიდან.

ცხრილი ა2

ENP-ის აღმოსავლეთ რეგიონის ნარკოტიკების ამოღების ტენდენციათა ანალიზში გამოყენებული დამატებითი მონაცემები, ნივთიერებების, ქვეყნის, წლების, რაოდენობისა და წყაროთა მიხედვით

ნივთიერება	ქვეყანა	წელი	რაოდენობა (კგ)	წყარო
კანაფი (მცენარეული)	საქართველო	2020	156.171	საქართველოს ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, 2021
კანაფი (მცენარეული)	უკრაინა	2018	2 054.9	IPFPEDM, 2022
კოკაინი	საქართველო	2020	0.034	საქართველოს ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, 2021
კოკაინი	უკრაინა	2018	4.7	IPFPEDM, 2022
ჰეროინი	უკრაინა	2018	0.02	IPFPEDM, 2022
ამფეტამინი	საქართველო	2020	0.004	საქართველოს ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, 2021
ამფეტამინი	უკრაინა	2018	33.8	IPFPEDM, 2022
„ექსტაზის“ ტიპის ნივთიერებები	უკრაინა	2018	0.719	EMCDDA-ს კითხვარი, 2021
„ექსტაზის“ ტიპის ნივთიერებები	უკრაინა	2020	26.759	EMCDDA-ს კითხვარი, 2021
მეტამფეტამინი	საქართველო	2020	0.092	საქართველოს ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, 2021

გამოყენებული ლიტერატურა

- Azbel, L. (2019), 'Drug injection, HIV and harm reduction within prisons in Eastern Europe: What does research tell us?', presentation at Lisbon Addictions 2019, Lisbon, Portugal.
- Beselia, A., Gegenava, V., Kirtadze, I., Mgebrishvili, T., Otiashvili, D., Razmadze, M., Sturua, L., Kutelia, L. and Javakhishvili, J. (2019a), *The drug situation in Georgia 2018*, Alternative Georgia, Tbilisi, Georgia (https://www.emcdda.europa.eu/drugs-library/drug-situation-georgia-2018_en).
- Beselia, A., Kirtadze, I. and Otiashvili, D. (2019b), 'Nightlife and drug use in Tbilisi, Georgia – results of an exploratory qualitative study', *Journal of Psychoactive Drugs* 20, pp. 1-7, doi:10.1080/02791072.2019.1574997.
- Courthouse News Service (2021, January 6), 'Ukraine seizes ton of heroin destined for Europe', <https://www.courthousenews.com/ukraine-seizes-ton-of-heroin-destined-for-europe/>.
- CRRC (Caucasus Research Resource Center) (2020), *Online markets for illicit drugs in Georgia*, Policy Bulletin, CRRC, Tbilisi, Georgia.
- Davitadze, A., Meylaks, P., Lakhov, A. and King, E. J. (2020), 'Harm reduction via online platforms for people who use drugs in Russia: a qualitative analysis of web outreach work', *Harm Reduction Journal* 17, doi:10.1186/s12954-020-00452-6.
- Degenhardt, L., Peacock, A., Colledge, S., Leung, J., Grebely, J., Vickerman, P., Stone, J., Cunningham, E. B., Trickey, A., Dumchev, K., Lynskey, M., Griffiths, P., Mattick, R. P., Hickman, M., and Larney, S. (2017), 'Global prevalence of injecting drug use and sociodemographic characteristics and prevalence of HIV, HBV, and HCV in people who inject drugs: a multistage systematic review', *The Lancet Global health* 5(12), pp. 1192–1207, doi:10.1016/S2214-109X(17)30375-3.
- Dumchev, K., Kiriazova, T. and Chernova, O. (2021), *Impact of the COVID-19 epidemic on drug markets, substance use patterns, and delivery of harm reduction and treatment services in Ukraine*, EU4MD-funded study report, CT.20.EU4MD.0029.1.0 (https://www.emcdda.europa.eu/drugs-library/impact-COVID-19-epidemic-drug-markets-substance-use-patterns-and-delivery-harm-reduction-and-treatment-services-ukraine_en).
- EMCDDA (2015), *Opioid trafficking routes from Asia to Europe*, Perspectives on Drugs, European Monitoring Centre for Drugs and Drug Addition, Lisbon (https://www.emcdda.europa.eu/publications/pods/opioid-trafficking-routes_en).
- EMCDDA (2016), *The internet and drug markets*, Publications Office of the European Union, Luxembourg (https://www.emcdda.europa.eu/publications/insights/internet-drug-markets_en).
- EMCDDA (2017), *High-risk drug use and new psychoactive substances – results from an EMCDDA trendspotter study*, EMCDDA Rapid communication, Publications Office of the European Union, Luxembourg (https://www.emcdda.europa.eu/publications/rapid-communications/high-risk-drug-use-and-nps_en).
- EMCDDA (2018), *Captagon: understanding today's illicit market*, EMCDDA Papers, Publications Office of the European Union, Luxembourg (https://www.emcdda.europa.eu/publications/emcdda-papers/captagon-understanding-todays-illicit-market_en).
- EMCDDA (2020a), *Impact of COVID-19 on drug markets, drug use, drug-related harms and responses in east European Neighbourhood Policy countries*, Trendspotter briefing, European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction (https://www.emcdda.europa.eu/publications/ad-hoc-publication/impact-COVID-19-east-enp-countries_en).
- EMCDDA (2020b), *Emerging evidence of Afghanistan's role as a producer and supplier of ephedrine and methamphetamine*, EU4MD Special Report, Publications Office of the European Union, Luxembourg (https://www.emcdda.europa.eu/publications/ad-hoc-publication/emerging-evidence-of-afghanistans-role-as-a-producer-and-supplier-of-ephedrine-and-methamphetamine_en).
- EMCDDA (2021a), *Methamphetamine developments in South Asia: the situation in Iran and the implications for the EU and its neighbours*, EU4MD Special Report, Publications Office of the European Union, Luxembourg (https://www.emcdda.europa.eu/publications/ad-hoc-publication/methamphetamine-developments-in-south-asia-situation-in-iran-implications-for-eu-and-neighbours_en).
- EMCDDA (2021b), *Methamphetamine from Afghanistan: signals indicate that Europe should be better prepared*, EU4MD Special Report, Publications Office of the European Union, Luxembourg (https://www.emcdda.europa.eu/news/2021/methamphetamine-afghanistan-signals-indicate-europe-should-be-better-prepared_en).
- EMCDDA (2022a), *European drug report 2022: trends and developments*, Publications Office of the European Union, Luxembourg (https://www.emcdda.europa.eu/publications/edr/trends-developments/2022_en).
- EMCDDA (2022b), *Responsiveness and preparedness in addressing drug-related needs of displaced Ukrainians in EU countries bordering Ukraine*, Publications Office of the European Union, Luxembourg (https://www.emcdda.europa.eu/publications/ad-hoc-publication/emcdda-trendspotter-briefing-ukraine_en).
- EMCDDA and Europol (2022a), 'EU drug market: cocaine', in *EU drug markets: in-depth analysis*, European Monitoring Centre for Drugs and Drug Addition, Lisbon (https://www.emcdda.europa.eu/publications/eu-drug-markets/cocaine_en).
- EMCDDA and Europol (2022b), 'EU drug market: methamphetamine', in *EU drug markets: in-depth analysis*, European Monitoring Centre for Drugs and Drug Addition, Lisbon (https://www.emcdda.europa.eu/publications/eu-drug-markets/methamphetamine_en).
- ESPAD (European School Survey Project on Alcohol and Other Drugs) (2015), *ESPAD Report 2015: Results from the European School Survey Project on Alcohol and Other Drugs*, EMCDDA Joint Publications, Publications Office of the European Union, Luxembourg (https://www.emcdda.europa.eu/publications/joint-publications/emcdda-espas-report_en).
- ESPAD (2020), *ESPAD Report 2019: Results from the European School Survey Project on Alcohol and Other Drugs*, EMCDDA Joint Publications, Publications Office of the European Union, Luxembourg (https://www.emcdda.europa.eu/publications/joint-publications/espas-report-2019_en).

- EWSD (European Web Survey on Drugs) (2021a), *European Web Survey on Drugs 2021: Emerging findings in Georgia*, Addiction Research Center – Alternative Georgia and the National Drug Observatory of Georgia (https://www.emcdda.europa.eu/publications/data-fact-sheets/european-web-survey-drugs-2021-emerging-findings-georgia_en).
- EWSD (2021b), *European Web Survey on Drugs 2021: Emerging findings in Ukraine*, Institute of Psychoactive Substances at the Alliance for Public Health (https://www.emcdda.europa.eu/publications/data-fact-sheets/european-web-survey-drugs-2021-emerging-findings-ukraine_en).
- Flashpoint (2021), *Hydra: where the crypto money laundering trail goes dark*, Flashpoint and Chainalysis (<https://dd80b675424c132b90b3-e48385e382d2e5d17821a5e1d8e4c86b.ssl.cf1.rackcdn.com/external/flashpoint-chainalysisihydra.pdf>).
- Gahr, M., Freudenmann, R. W., Hiemke, C., Gunst, I. M., Connemann, B. J. and Schönfeldt-Lecuona, C. (2012), ‘Desomorphine goes “crocodile”’, *Journal of Addictive Diseases* 31, pp. 407-412, doi:10.1080/10550887.2012.73557.
- Hearne, E., Grund, J-P. C., Van Hout, M. C. and Mc Veigh, J. (2016), ‘A scoping review of home-produced heroin and amphetamine-type stimulant substitutes: implications for prevention, treatment, and policy’, *Harm Reduction Journal* 13, doi:10.1186/s12954-016-0105-2.
- IPFPEDM (Institute of Psychiatry, Forensic Psychiatric Examination and Drug Monitoring of the Ministry of Health of Ukraine) (2022), *Report on drug and alcohol situation in Ukraine for 2021*, IPFPEDM, Kyiv.
- Kurcevič, E. and Lines, R. (2020), ‘New psychoactive substances in Eurasia: a qualitative study of people who use drugs and harm reduction services in six countries’, *Harm Reduction Journal* 17, doi:10.1186/s12954-020-00448-2.
- Kushakov, V. (2021), ‘Services for people who use psychoactive substances in Ukraine: current state, scale and prospects’, *ISSUP Ukraine Webinar*, <https://www.issup.net/knowledge-share/resources/2021-03/role-public-organisations-providing-assistance-users-psychoactive>.
- Lakhov, A. (2020), ‘Revealing trends in Russia’s dark-web drug markets’, *Filter* (16 December), <https://filtermag.org/russia-dark-web-drugs/>.
- LaMonaca, K., Dumchev, K., Dvoriak, S., Azbel, L., Morozova, O., and Altice, F. L. (2019), ‘HIV, Drug injection, and harm reduction trends in Eastern Europe and Central Asia: implications for international and domestic policy’, *Current psychiatry reports* 21(7), doi:10.1007/s11920-019-1038-8.
- Melnychuk, V. (2021), ‘Поточна ситуація із наркотиками в Україні’ [‘The current drug situation in Ukraine’], Presentation during Third Conference on Drug Policy Support for implementation of the Ukrainian Drug Strategy, 24-25 November, 2021, Kiev.
- NDO (National Drug Observatory of Georgia) (2021), *Drug report 2019*, National Drug Observatory of Georgia, Tbilisi, Georgia.
- NDO (2022), *National drug report 2020*, National Drug Observatory of Georgia, Tbilisi, Georgia.
- Otiashvili, D. (2020), *Emerging drug-related trends and threats in the eastern European Neighbourhood Policy (ENP) area*, EU4MD background report (unpublished), European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction (contract code CT.19. EU4MD.0093.1.0).
- Otiashvili, D., Kirtadze, I. and Bergen-Cico, D. (2017), ‘Exploring the new phenomena of home-made extraction and injection of ephedra plant product in Georgia’, *Substance Use and Misuse* 52, pp. 826-829, doi:10.1080/10826084.2016.1263664.
- Otiashvili, D., Kirtadze, I., Mgebrishvili, T., Beselia, A. and Vardanashvili, I. (2021), *Impact of the COVID-19 epidemic on drug markets and behavior of people who use drugs in Georgia*, EU4MD-funded study report, CT.20.EU4MD.0028.1.0 (https://altgeorgia.ge/media/uploads/COVID-cohort-ge_report_final.pdf).
- Sydoruk, O. (2021), ‘Formation and implementation of an action plan for the implementation of the State Strategy on Drug Policy in the context of the SSU reform’, Presentation during Third Conference on Drug Policy Support for implementation of the Ukrainian Drug Strategy, 24-25 November, Kiev, Ukraine.
- Tidy, J. (2022), ‘Hydra: How German police dismantled Russian darknet site’, BBC News, April 6, <https://www.bbc.com/news/technology-61002904>.
- Titari, I., Salnikov, S., Ohorodnik, S., Nesterova, O., Popova, K., Andrianova, I., Sheiko, O. and Sichkar, S. (2021), *2020 Integrated biobehavioural survey among people who inject drugs*, State Institution, Public Health Center of the Ministry of Health of Ukraine, Kyiv (https://www.phc.org.ua/sites/default/files/users/user90/Results%20of%20IBBS_PWID%202020_eng_online.pdf).
- Ukrinform (2021), ‘SBU seizes 750 kg of psychoactive drugs in Odesa, 21 October’, <https://www.ukrinform.net/rubric-crime/3121021-sbu-seizes-750-kg-of-psychoactive-drugs-in-odesa.html>.
- UNODC (United Nations Office on Drugs and Crime) (2021a), *Drug situation in Afghanistan: latest findings and emerging threats*, UNODC Research Brief (https://www.unodc.org/documents/data-and-analysis/Afghanistan/Afghanistan_brief_Nov_2021.pdf).
- UNODC (United Nations Office on Drugs and Crime) (2021b), *World drug report 2021*, UNODC, Vienna.
- UNODC (United Nations on Drugs and Crime) (2022a), *Annual drug seizures*, data, UNODC, <https://dataunodc.un.org/data/drugs/Annual%20Drug%20Seizures>, accessed 20 April 2022.
- UNODC (United Nations on Drugs and Crime) (2022b), *World drug report 2022*, UNODC, Vienna, <https://www.unodc.org/unodc/en/data-and-analysis/world-drug-report-2022.html>.
- UNODC (United Nations on Drugs and Crime) (2022c), *Statistical annex* https://www.unodc.org/unodc/en/data-and-analysis/wdr2022_annex.html.
- van der Gouwe, D. (2021), *New psychoactive substance use in Eastern Europe and Central Asia: regional report*, Eurasian Harm Reduction Association (<https://harmreductioneurasia.org/harm-reduction/new-psychoactive-substances/nps-ee-and-ca>).
- van Ginkel, M. (2022), ‘Opioid smuggling in the Black Sea – analysis’, *Eurasia Review*, 7 February <https://www.eurasiareview.com/17012022-opioid-smuggling-in-the-black-sea-analysis/>.

GETTING IN TOUCH WITH THE EU

In person

All over the European Union there are hundreds of Europe Direct information centres. You can find the address of the centre nearest you online (european-union.europa.eu/contact-eu/meet-us_en).

On the phone or by e-mail

Europe Direct is a service that answers your questions about the European Union. You can contact this service

- by freephone: 00 800 6 7 8 9 10 11 (certain operators may charge for these calls)
- at the following standard number: +32 22999696 or
- via the following form: european-union.europa.eu/contact-eu/write-us_en.

FINDING INFORMATION ABOUT THE EU

Online

Information about the European Union in all the official languages of the EU is available on the Europa website (europa.eu).

EU publications

You can view or order EU publications from at op.europa.eu/en/publications.

Multiple copies of free publications may be obtained by contacting Europe Direct or your local documentation centre (european-union.europa.eu/contact-eu/meet-us_en).

EU law and related documents

For access to legal information from the EU, including all EU law since 1951 in all the official language versions, go to EUR-Lex (eur-lex.europa.eu).

Open data from the EU

The portal data.europa.eu provides access to open datasets from the EU institutions, bodies and agencies. These can be downloaded and reused for free, both for commercial and non-commercial purposes. The portal also provides access to a wealth of datasets from European countries.

პუბლიკაციის შესახებ

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს ევროპული სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ რეგიონში ნარკობაზრის ანალიზს, მათ შორის, სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში. ნარკოტიკების წარმოების, ნარკოტრაფიკის, გასაღების, მოხმარებისა და ზიანის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე ორიენტირებული ანგარიში მოიცავს მონაცემებსა და ინფორმაციას 2019-2022 წლებში ჩატარებული კვლევებიდან, ევროკომისიის მიერ დაფინანსებული EU4Monitoring Drugs პროექტის ფარგლებში. ანგარიშის დასკვნით ნაწილში განხილულია ხედვა იმის შესახებ, თუ რომელ სფეროებზე უნდა იყოს ორიენტირებული პოლიტიკისა და ნარკობაზარზე არსებული გამოწვევების საპასუხოდ.

EMCDDA-ს შესახებ

ევროპის ნარკოტიკებისა და წამალდამოკიდებულებისა მონიტორინგის ცენტრი (EMCDDA) არის ევროპაში ნარკოტიკებთან დაკავშირებულ საკითხებზე რეაგირების ძირითადი წყარო და გადაწყვეტილების მიმღები ორგანო. 25 წელზე მეტია, ის აგროვებს, აანალიზებს და ავრცელებს მეცნიერულად დასაბუთებულ ინფორმაციას ნარკოტიკების, წამალდამოკიდებულებისა და მათი შედეგების შესახებ და, ამასთან, საკუთარ სამიზნე ჯგუფებს აწვდის ნარკოტიკების მხრივ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ წარმოდგენას ევროპის დონეზე.

EMCDDA-ს პუბლიკაციები წარმოადგენს ინფორმაციის ძირითად წყაროს მკითხველთა ფართო სპექტრისთვის, მათ შორის, პოლიტიკოსებისა და მათი მრჩეველებისთვის; ნარკოტიკების სფეროში მომუშავე სპეციალისტებისა და მკვლევრებისთვის; და, უფრო ფართოდ, მედიისა და ფართო საზოგადოებისთვის. ლისაბონში დაფუძნებული EMCDDA არის ევროკავშირის ერთ-ერთი დეცენტრალიზებული სააგენტო.